645
1966/2.



# საქართველოს ქალი

ივლისი
№ 7 1966 წ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



უ. შექსპირის „მეფე ლირი“ თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

მეფე ლირი — სსრკ სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი სერგო ზაქარიაძე.

ფოტო დ. იაკობაშვილის

645
1966/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



მხატვარი თამარ აბაკელია

არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან:
„თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან;
მან განანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან.
მოდით და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან!“

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური
საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი
№ 7, ივლისი, 1966 წელი.

# საქართველოს ქალი

10653

გიორგი სანადირაძე



მოთხრობა

მხატვარი დ. ბაშელეიშვილი

ეზოს ბოლოში თივა ეყარა. თივას სასიამოვნო სურნელი ასდიოდა. თვალები დავხუჭე და თივაზე გავწექი. თვალდახუჭულმა მთები დავინახე: მთები მღეროდნენ. დავინახე ცა: ცა მღეროდა. დავინახე მინდვრები: მინდვრები მღეროდნენ. მერე გავახილე თვალები და ისევ ჩვეულებრივი იყო ყველაფერი: ჩვეულებრივი მთები, ჩვეულებრივი ცა, ჩვეულებრივი მინდვრები. და გული დამწყდა. თვალდახუჭულს უფრო მიმზიდველი და ლამაზი წარმომიდგებოდა ხოლმე ეს ქვეყანა. ამ ქვეყანას ჰქონდა ის, რაც სინამდვილეში აკლდა, და რაც უსათუოდ უნდა ჰქონოდა — ამღერებული ფერები. აი, რატომ დავხუჭე თვალები. ჩემში ამღერებული ფერების მთელი სამყარო მოკალათებულიყო. აი, მე დავინახე გოგონა, დაღვრემილი გოგონა. იგი გარბოდა. თვალები დავხუჭე და გოგონა მაშინვე სხვანაირი გახდა — ლამაზი, ზღაპრული, ამღერებული, მომღიმარე. მერე თვალები გავახილე და ისევ დავინახე გოგონა — დაღვრემილი, შეწუხებული... როდის მერე დამყვა ეს ჩვევა? მაშინ მზიანი დღე იყო და მე თერთმეტი წლისა გავხდი.

* * *

ბიჭს ნიკა ჰქვია. ნიკა მეთევზეთა დაბაში, სუბტროპიკული ტექნიკუმის წინ ცხოვრობს. ჰყავს და, დედა და ბებია. ნიკა ერთადერთი მამაკაცია მთელ სახლში. წერს ლექსებს, დადის სკოლაში და დასდევს მტრედებს. უყვარს ფეხბურთი. იწონის ოცდაჩვიდმეტ კილოგრამს და ჰანტელებით ვარჯიშობს. უცნაური ჩვეულება აქვს: როცა ლექსს კითხულობს, თვალებს ხუჭავს. ეს ყველაზე ადრე დედამ შენიშნა, შენიშნა და არაფერი უთხრა. მასწავლებელმა კი შეაჩერა და მთელი კლასის გასაოცებლად ჰკითხა: „კი, მაგრამ თვალებს რატომ ხუჭავ?“ ბიჭი დაიბნა. ჯერ სასტიკად იუარა, მერე იგრძნო და შერცხვა. თვალები გაახილა. არაფერი გამოუვიდა. სტრიქონები აერია. თვალები დახუჭა და სტრიქონებიც თავთავიანთ ადგილზე დალაგდნენ. „ბულბულივით ყოფილხარ, — გაუღიმა მასწავლებელმა და მხარზე წაუთათუნა ხელი, — ბულბულიც ხუჭავს თვალებს, როცა მღერის“. ჰოდა, სწორედ ეს უნდოდა ჟირაფივით კისერწაგრძელებულ გაბოს! ამ მაღალსა და მწითურა ბიჭს ნიკა ათვალისწუნებული ჰყავდა. გაკვეთილების შემდეგ უტიფრად გადაუდგა წინ, ჩაახველა და ბიჭებს ჰკითხა:

— გაიგეთ, კლასში ბულბული გვყოლია.

— ბულბული კი არა, ის არ გინდა... — ეწყინა ნიკას.

— რა ისა! — თვალები გადმოქაჩა გაბომ, — რას იგინები?

— რა გინდა, ა?

— ერთი ამ ბულბულს დამიხედეთ, როგორ იჯგიმება. ლავაშივით გაბრტყელება ხომ არ მოგენატრა?

— აბა, სცადე. — და აქ მოხდა ის, რასაც ნიკა არ ელოდა. გაბომ მუშტი მოუქნია და სახეში სთხლიშა. ნიკა წაბარბაცდა. ჩანთა გაუვარდა და კედელს მიეყრდნო.

— თავს რატომ არ იცავ, ბულბულო? –– გაიცინა გაბომ. გაიცინეს ბიჭებმაც. ნიკამ ბიჭებს გადახედა. სახე წამოუწითლდა. თვალები აემღვრა და მუშტები მოკუმა. მაგრამ გაბოსთან ჩხუბი არც უფიქრია, რომ ეფიქრა, უსათუოდ მიბეგვავდა. სჯეროდა. ნიკა ღონიერი იყო და ჩასკვნილი. გაბო კი მაღალი და გაწრიპული. გაბო მოშორებით იდგა, იცინოდა, უცებ ნიკას თვალებს წააწყდა, წააწყდა და შეიშმუშნა. თავი ჩაღუნა, კეფა მოიფხანა და გაეცალა.

ახლა ნიკა თავის დასთან ქუჩის კუთხეში იდგა. ნიკას დას ლიზა ჰქვია. ლიზას წელში გამოყვანილი კაბა აცვია და თმა ახალ მოდაზე აქვს გადავარცხნილი. ნიკა ამაყობს თავისი დით. ამაყობს იმით, რომ დას „უყვარს“ და. როგორც რომანებშია, ხოლმე, „ვიღაც“ საიდუმლო ბარათებს უგზავნის.

— ხედავ იმ ბიჭს? — ეკითხება ლიზა.

— ვისა, უზარმაზარი ჩანთა რომ უჭირავს?

— ჰო. ახლა ის ჩვენთან მოვა.

ნიკა გაოცებისაგან პირს აღებს და ისევ კუმავს. უზარმაზარჩანთიანი ბიჭი ფეხბურთელია: ნიკას სათაყვანო და დასაფიცარი.

— ბებიაშენი მოატყუე. იცი, ვინაა?

— ვიცი.

ნიკას გული მოსდის. „ეს გოგო შეგიკლავს თავისი ფანტაზიებით. ერთი არ მოვიდეს ჩვენთან!“ მაგრამ ცნობილმა ფეხბურთელმა ლიზას შორიდან დაუქნია ხელი, ქუჩა გადმოსჭრა და ვეებერთელა ჩანთა პირდაპირ ნიკას წინ დააგდო.

— სადა ხარ, გოგო, აქამდე?

„აჰ, არ უყურებ ლიზას?!“

—გაიცანი, ჯაბა, ეს ჩემი ძმაა, — წითლდება ლიზა.

— ოჰო, — განგებ გაიოცა ცნობილმა ფეხბურთელმა, — გამარჯობა, ბულბულო.

ნიკამ ლიზას შეხედა. „მოასწარი ხომ? უთხარი, რომ „ბულბულს“ მეძახიან, არა? ძალიან კარგი“. მაგრამ მაინც გაიღიმა, ხელიც გაუწოდა, თვალებითაც შესცინა. მის წინ ხომ ჯაბა იდგა, განუმეორებელი ჯაბა — ქალაქის უძლიერესი გუნდის კაპიტანი, ფინტების ღმერთი! აუ, რამოდენა ხელისგული ჰქონდა ჯაბას! ნიკას შეეშინდა — ვაითუ მომიჭიროსო, მაგრამ ჯაბამ ძალზე ფრთხილად ჩამოართვა ხელი.

ნიკა გახარებულია. ნეტა ერთი იმ დოყლაპია გაბოს დაენახვა ნიკა, დაენახვა, როგორ ელაპარაკება ჯაბას (თანატოლივით); დაენახვა, როგორ ზის მის გვერდით და ნაყინს მიირთმევს (ჯაბას ნაყიდს).

მზე ჩადის. ქუჩაში ხეთა ჩრდილები გაწვნენ. ჯაბა და ლიზა რაღაცაზე ჩუმად საუბრობენ. ნიკა არ უსმენს მათ. მუხლებზე უბის წიგნაკი უდევს. თვალები დაუხუჭავს. ამ წუთს იგი კეთილია. ამ წუთს მას შეუძლია გააჩუქოს თავისი მტრედები, იკითხოს ლექსები, იკითხოს დაუსრულებლად. ამ წუთს მას არც „ბულბული“ გააღიზიანებს. დაუძახეთ რამდენიც გინდათ! მზე ჩადის და ჩამავალ მზეს გაუნათებია ბიჭის სახე. ბიჭის სულიც განათებულია. იგი შეიცვალა თითქოს. ყველას უღიმის და სიტყვის თქმისა ეშინია, რადგან მისი ყოველი სიტყვა ზანზალაკივით აწკრიალდება. უცებ, თითქოს შორიდან, ძალზე შორიდან, ესმის:

— დიდი დრო გასულა. ლაზე, რა დიდი დრო გასულა!

ეს ჯაბაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკა თვალებს ახელს. მის წინ გაღიმებული ჯაბა დგას.

— გული მწყდება, — ამბობს იგი, — მაგრამ რას იზამ. ბიჭები უჩემოდ არ დაიწყებენ ვარჯიშს. — ნიკას თმაზე უსვამს ხელს, მერე მკერდზე იკრავს და ეალერსება.

„სადა ხარ, შე დოყლაპია გაბოვ! რა იქნება, ერთი წამით გამოირბინო ამ ქუჩაზე".

ბიჭს უბის წიგნაკი გაუვარდა ხელიდან.

— ეს რა გაქვს? — ეკითხება ჯაბა.

— ესა? — დაიბნა ნიკა, — უბის წიგნაკია.

— ამოდენა?

— ჰო. შიგ ლექსებს ვიწერ. სულ ლექსებითაა სავსე.

— შენი ლექსებიც გიწერია?

ლიზა თავს უკრავს.

— მათხოვე. ძალიან მიყვარს ლექსები. სამაგიეროდ, სტადიონზე შესასვლელ საშვს გიშოვი.

ნიკა ლიზას უყურებს. ლიზა ჯაბას.

— წაიღე, — ამბობს ლიზა.

ჯაბას წასვლის მერე ნიკამ მოიწყინა.

— კი, მაგრამ შენ ხომ თქვი, ამხანაგს უნდა შევხვედროდიო.

— აღარ მოვა, ალბათ, ამხანაგი.

— მაშ, აქ რაღას ვუცდით?

— წავიდეთ.

ნელა მიაბიჯებენ. მზე სულ ჩავიდა, ჩაიწურა და ქუჩებში ფანრები აინთო. ლიზა გახარებულია. ხელი ბიჭის მხარზე უდევს და იღიმება.

— დედას არაფერი უთხრა, კარგი?

— რატომ არ უნდა ვუთხრა?

— რა საჭიროა, ჩვენ ხომ კინოში ვიყავით.

— აბა, როდის ვიყავით კინოში?

— სულელო, მეც ვიცი, რომ არ ვიყავით, მაგრამ შინ ასე იტყვი, ხომ?

„ლიზამ უკეთ იცის, — ფიქრობს ნიკა. — ლიზა დიდია, ჭკვიანია"

* * *

მას ძალიან უნდა იყოს ვუნდერკინდი: პოეტი, გმირი, კოსმონავტი ან რაღაც ამის მაგვარი. ხანდახან იგი მნიშვნელოვან გამოგონებაზედაც ოცნებობს. ადგენს ნახაზებს, წვალობს, ბორგავს, ადგილს ვერ პოულობს. ბოლოს იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ ქვეყანაზე რაც გამოსაგონებელი იყო, ყველაფერი გამოიგონეს და, სათავგადასავლო წიგნებში ეფლობა.

ასეთი წიგნების მერე მას მოუსვენრად სძინავს ხოლმე.

ფანჯარასთან ლიზას ლოგინი დგას. ლიზა ადგება, პერანგის ამარა, ფეხშიშველა მიადგება ბიჭის ლოგინს, მკერდზე დაადებს ხელს და შეანჯღრევს!.

„რა მოგივიდა, ბულბულო?" „არაფერი", — თვალის გაუხელელად წაიბუზღუნებს ნიკა და გვერდს შეიბრუნებს. ლიზა ახლა თავზე გადაუსვამს ხელს. „მაშ, მშვიდად იძინე" და თავის ლოგინს უბრუნდება.

დილით, საუზმის დროს, ლიზა იკითხავს: „წუხელ რა გაყვირებდა?" ნიკა გაკვირვებული ასწევს თავს. „იქნებ არც გახსოვს, რომ გაგაღვიძე?" „კიდევ რას მოიგონებს? შენ გგონია, რახან პატარა ვარ, ყველაფრის დაბრალება შეგიძლია? არაფერიც".

მერე ნიკა სკოლაში მიდის და გახარებული ბრუნდება. ჩანთას ქუჩიდან ფანჯარაში შეაგდებს და ეზოში ხელცარიელი მიდის. ლიზა ჰამაკში გაწოლილა. მის გვერდით, ტაბურეტზე უამრავი წიგნი აწყვია. ლიზა უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადება.

— რა გიხარია, ნიკა?

— დღეს გაბომ შერიგება მთხოვა.

— შეურიგდი?

— არა!

— გაეპრანჭე?

— პრანჭია თვითონა ხარ. მე ჯერ კიდევ უნდა ვიფიქრო. მან ხელი გამარტყა და ტუჩი გამიხეთქა. თვითონ თქვი, ღირს ასეთთან შერიგება? თანაც მანამდე სულ დამცინოდა.

— დიდი ამბავი, „ბულბული" თუ დაგიძახა. განა ეს გწყინს?

— შენგან არა, არც მასწავლებლისაგან მწყინს. მაგრამ, როცა გაბო მეძახის, მგონია სახეში მარტყამს.

— ნუ ხარ ასეთი მგრძნობიარე, ბულბულო.

ნიკა სახლში შედის. ტანისამოსს იცვლის და ზღვისაკენ გარბის. ზღვა მათი სახლის უკანაა. იქ ნაპირი სილიანია და სწორი. მთელი დაბის ბიჭები აქ





იჭერენ კეფალსა და ბარაბულკას. კეფალს „ლაბანს“ ეძახიან ბიჭები, ბარაბულკას კი — სამეფო თევზს. ნიკა კაპრონის ძაფზე დამაგრებულ ტყვიის საძირავს წვერს უბლაგვავს, ანკესებზე ათასკვებს ამაგრებს და წყალში ისვრის, შორს, ძალიან შორს, სადაც წყლიდან ამოშვერილი ლოდი ორად ჰყოფს დინებას, და სადაც მეთევზეთა აზრით „ლაბანები“ ბალახობენ ხოლმე.

გადის ათი წუთი, არავითარი ჩქამი. გადის ოცი, ოცდაათი... მზე აიწვერა. მზე მაგრა აცხუნებს და თვალებს წვავს. წყალი თბილია და გამჭვირვალე.

— ნი-ი-კა!

— ნი-ი-კაა!

„რამ გაამწარა ეს გოგო? — ფიქრობს ნიკა და ანკესებს ახვევს. — რა გვიან მივხვდი, რომ დღეს თევზაობა შეუძლებელია... წყალი ხომ გამჭვირვალეა!“

— ჰო, რა მოხდა?

— გინდა სტადიონზე წავიდეთ?

ნიკას თვალები უბრწყინავს. თავს უქნევს, კაპრონის ძაფს ტყვიის საძირავებს აძრობს და ყუთში ინახავს.

— ტანისამოსს გამოვიცვლი მხოლოდ, — ამბობს ნიკა და თან ფიქრობს: „ვიცი, რატომაც გინდა ჩემი წაყვანა. მე საბაბი ვარ: უჩემოდ არავინ გაგიშვებს სახლიდან“.

— საშვი გაქვს? — გაახსენდა.

— არა. საშვი ჯერ არ მოუტანია. ბილეთები მომცა.

„ რას მატყუებ? მე ხომ ვიცი, ბილეთები რომ იყიდე?“

— რატომ არ მოგცა საშვი?

— დამავიწყდაო. შენ მოდიხარ, თუ არა?

* * *

ნიკა ბრაზობს, ნიკა ეჭვიანობს — ლიზას სულ ჯაბა აკერია ენაზე, ამოდენა სტადიონზე ჯაბას მეტს ვერავის ხედავს. ჯაბას ბურთი გადააწოდეს, ჯაბა ელვის სისწრაფით გაიჭრა წინ, მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მიუახლოვდა მესამეს. ბურთი ფეხებში გაებლანდა და დაეცა. „ხულიგნები, — ყვირის ლიზა, — ასე ფეხსაც მოამტვრევენ. ნეტავ რას უყურებს ეს მსაჯი?“

ნიკა უსტვენს. აბა, რა ჰქნას, ხომ უნდა დაუჭიროს დას მხარი? ვიღაცამ მოიხედა. ვიღაცამ გაიცინა. მერე ჯაბას ისევ გადააწოდეს ბურთი. ჯაბა მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა. დარტყმა... სტადიონმა დაიგუგუნა...

— ჯაბა! ჯაბა!.. — სხვებთან ერთად ყვირის ლიზაც.

ნიკა უყურებს ლიზას (როგორ შეიცვალა ეს გოგო!).

ლიზას ერთხელაც არ გაუხედია ნიკასაკენ. მორჩა. ნიკამ დაჰკარგა ლიზა. და მას გული დაწყდა. მასაც უნდა ჯაბასავით ფეხბურთელი იყოს. მკლავზე კაპიტნის წითელი ნიშანი ჰქონდეს (ლიზას დაკერებული). ნიკა ფიქრებში ეფლობა: იგი მარცხენა გარემარბია. ერთდროულად სამი მცველი დასდევს. მაგრამ ნიკა მაინც ახერხებს ბურთის მიღებას, აკეთებს ფინტს. ატყუებს ერთს, ატყუებს მეორეს... მესამე სარმას უპირებს. ნიკა მასაც მოხერხებულად უვლის გვერდს და მეკარესთან პირისპირ გადის. დარტყმა. „ნიკა, ნიკა!...“ გუგუნებს სტადიონი... ნიკა თვალს ახელს. ჯაბას მოთამაშენი ეხვევიან, კოცნიან, ანჯღრევენ.

მატჩი დამთავრდა.

ნიკა და ლიზა ყველაზე ბოლოს დგებიან. გასასვლელთან უამრავი ხალხია. აი, ჯაბაც. ჯაბას საუცხოო კოსტუმი აცვია. იგი შორიდან ესალმება ლიზას, ანიშნებს — „მერე, მერეო“. და მანქანაში ჯდება. მანქანაში გოგოებიც სხედან. გოგოები იცინიან. ლიზა მოწყენილია, მანქანა დაიძრა.

— დღეს, საღამოს, — თავი გამოჰყო მანქანიდან ჯაბამ, — იმავე ადგილას.

ლიზას თვალები გაუბრწყინდა.

შებინდებისას ლიზა როიალთან ზის და მღერის: — „ვინ იცის, როდის მოვა შხაპუნა...“

ბიჭი ფიქრობს: „ხვალვე მივალ ფიზკულტურის მასწავლებელთან, ვთხოვ განსაკუთრებულად მამეცადინოს. მორჩა. ფეხბურთელი უნდა გავხდე. მე კარგი სირბილი ვიცი. გამოვდგები“.

მერე წვიმს. ნიკა სარკმელთან ზის. ღამდება. იგრძნო, ვიღაც შემოვიდა ოთახში, ფეხაკრეფით მოვიდა ფანჯარასთან და მხარზე დაადო ხელი. ხელი ცივია, სველი. „დედაა“ — ხვდება ნიკა და სწრაფად ბრუნდება.

— რამ შეგაკრთო? — ეკითხება დედა.

„შენ სველი ხელი გაქვს“, — უნდა უთხრას, მაგრამ იღიმება. ქუჩაში ბნელა კუთხეში, თუთის ხესთან ლიზა დგას თავის ფეხბურთელთან ერთად. კიდევ კარგი, რომ დედამ არ გადაიხედა ქუჩაში, გამოვიდოდა, რომ ნიკამ გასცა. დღეს იქნება თუ ხვალ, დედა მაინც მიხვდება. ნიკას თავისი თანაკლასელი გოგო გაახსენდა. იმ გოგოს ქერა თმა ჰქონდა, ლალი ერქვა და გადასარევად უკრავდა ვიოლინოზე. ბიჭს სწორედ ვიოლინოს გულისთვის მოსწონდა ლალი. გაკვეთილების შემდეგ ისინი ზღვისპირა ბაღისაკენ მიემართებოდნენ. იქ, ბაღის ბოლოს, სილიანი ბორცვები იყო და ისინი ბორცვებს უკან სხდებოდნენ.

ამას „სიყვარული“ ერქვა...

იმ ხანად ლალი ავად გახდა და მთელი ორი თვე ლოგინიდან არ წამომდგარა...

ბიჭმა თვალები დახუჭა. თვალწინ ლალი დაუდგა. ლალი ვიოლინოზე უკრავდა. ქერა თმა შუბლზე ჩამოშლოდა. ლალი ძალზე კეთილი იყო და ლამაზი.

მეორე ოთახში ხმაური გაისმა.

— სად დადის ეს გოგო ამდენ ხანს? — ამბობს ბებია.

— აღარ გაიხედოს გარეთ? პატარა ხომ არაა? — ამბობს დედა.

— პატარა რომ არაა, იმიტომ ვლაპარაკობ ამდენს, — არ იშლის ბებია, — სწორედ ახლა არის მოსავლელი.

— ლიზა ჭკვიანი გოგოა, — მშვიდად ამბობს დედა.

„მართლაც, სად დაძვრება ეს გოგო შუაღამემდე?“ — ფიქრობს ნიკა. წინ სუფთა ფურცელი უდევს და დიდ, უშნოთავიან ორიანებს ხატავს. ბებია ცომს ზელს, ყველს ფუნჩხავს და გაზქურას ანთებს. ცოტა ხნის შემდეგ ხაჭაპური მზადდება. ბებია ხაჭაპურს იღებს, ტილოში ახვევს და ბალიშის ქვეშ ინახავს.

— მომიჭერი ცოტა, — ეხვეწება ნიკა.

— ლიზა მოვა და შეჭამ.

ისევ ლიზა! რაც იმ ფეხბურთელს გადაეყარა, სულ გადაავიწყდა ნიკა. არადა, რატომ უნდა ითმინოს ამდენი? ჯერ ერთი, ლექსებით სავსე უბის წიგნაკი წაართვეს, მეორეც — კიდევ, სტადიონზე შესასვლელ საშვს დაჰპირდნენ და მოატყუეს. არა, რატომ უნდა ითმინოს?

* * *

დედა სამსახურიდან დაბრუნდა. შესვენებაზე ნაყიდი სახოვაგე კარადაში შეაწყო და სავარძელში ჩაეშვა.

— დაიღალე, დედიკო? — ეკითხება ლიზა.

„რა თქმა უნდა, დაიღალა“, ფიქრობს ნიკა და წიგნს ჩასცქერის. ისედაც ჩანს, რომ დაიღალა. ამას ყველა მიხვდება.მაგრამ ლიზა მეტიჩარაა. თავს აჩვენებს, თითქოს ყველაზე მეტად უყვარს. თითქოს ყველაზე მეტად ეცოდება. სინამდვილეში კი თავის საქმეს იკეთებს. კისერს მოვიჭრი, თუ ამ საღამოსაც სადმე არ აპირებს...

დედა სამზარეულოში გადის. ხელებს იბანს. ნიკა თავს სწევს.

— ლიზა — подлиза!

— კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო... ასე ხომ არ გამოგდის, ბულბულო?

— პაემანზე აპირებ?

— მერე რა გინდა?

— დედას ვეტყვი, არ გაგიშვებს.

— მაშინ სტადიონზე შესასვლელ საშვს გამოემშვიდობები.

— შენ სულ მატყუებ. მთელი თვეა მატყუებ. სადაა საშვი! მალე სეზონიც დამთავრდება. მერე მაგრა მოუჭიროს საშვს ხელი შენმა ჯაბამ.

— დღეს უსათუოდ გამოვართმევ. ამბობს, მავიწყდებაო.

— პაემანზე მოსვლა არ ავიწყდება?

ლიზა წითლდება.

— კარგი, ბულბულო.

— ბულბულს ნუ მეძახი.

— უკადრისობ?

— ჰო.

— მომავლისათვის უსათუოდ გავითვალისწინებ, ბულბულო.

შეაყარე კედელს ცერცვი. ნიკა ზის და თვალებს ახამხამებს. შემოდის დედა. დედა ლამაზი ქალია. წინ თოვლივით თეთრი წინსაფარი აუფარებია. თავი ლურჯი ხილაბანდით წაუკრავს. „ახლა დედა ვახშმის თადარიგს შეუდგება“, — ფიქრობს ნიკა და უცებ ხმამაღლა, თავისი ასაკისათვის შეუფერებელი ბანით გუგუნებს:

— ლიზა, ლიზა, ლიზა — подлиза!

— არა გრცხვენია, ნიკა? განა ასე შეიძლება?



— აბა, რატომ არ მაძლევს საშვს?

— ლიზა, მიეცი საშვი!

— თან არა მაქვს. ამხანაგთან დამრჩა. დღეს წავალ და მოვიტან.

— ისევ? — მხრებს იჩეჩავს დედა, — რაღაც ძალიან მოუხშირე ამხანაგთან სიარულს.

ლიზა ნიკას უყურებს. ნიკა თაროდან წიგნს იღებს და ფურცლავს. მას რატომღაც მაღალი, შავგვრემანი ჭაბუკი ახსენდება. ჭაბუკს სოსო ჰქვია. სოსო ქუჩის მეორე მხარეს, მეთევზეთა სახლებში ცხოვრობს და ნავსადგურში მუშაობს სანაპირო მეზღვაურად. წინათ სოსო ყოველთვის მოდიოდა მათთან. ნიკასთვის ანკესები ან კაპრონის საცობი მოჰქონდა ძუის დასახვევად. ახლა კი ფეხი აიკვეთა. მართალია, ნიკას ძველებურად გაღიმებული ხვდება და ანკესებსაც აძლევს, მაგრამ მათთან აღარ დადის. ნიკამ იცის, რატომ არ დადის მათთან სოსო. აკი ერთხელ კითხა კიდეც: „ვინაა ის ბიჭი, შენს დასთან რომ ვხედავ მუდამ?“ „ფეხბურთელი“. — სწრაფად უპასუხა ნიკამ, თან გაიკვირვა, როგორ არ იცნობო. „დიდი ბარაქა კია“, — გაიცინა სოსომ, უცნაურად გაიცინა და წავიდა. ნიკას ეწყინა, ძალიან ეწყინა მაშინ. გადაწყვიტა ამიერიდან ხმას აღარ გავცემ სოსოსო, მაგრამ ახლა, როცა ჯაბას დაპირებულ საშვზე ფიქრობდა, რატომღაც სოსო გაახსენდა და გული ეტკინა.

ცოტა ხნის შემდეგ ლიზა ნიკას გვერდით ზის. თმაზე უსვამს ხელს.

— რას ბრაზობ, ა? თმა ყალყზე გიდგას სიბრაზისაგან. მოდი, დაგივარცხნო!

ნიკა ლიზას თვალებში უყურებს. „თუ ამაღამაც არ მომიტანს საშვს, მაშინ ჯაბამ მართლაც მომატყუა“. — ფიქრობს, მაგრამ დას არაფერს ეუბნება. მას სიამოვნებს, როცა და თმას უვარცხნის. მისი გაწეწილი თმის მორჯულება დის სწრაფსა და ალერსიან თითებს თუ შეუძლია მხოლოდ.

— ოდეკოლონითაც დამისველებ?

— აბა, ისე როგორ იქნება? — იღიმება ლიზა.

ლიზა იღებს ოდეკოლონის შუშას, საგანგებოდ გადანახულ შუშას და რამდენიმე წვეთს ასხურებს. ოთახი იასამნის სურნელით ივსება.

— მე ახლა წავალ, კარგი? ფანჯრიდან გადავძვრები. შენ იტყვი, რომ მე აქვე ვარ, მეზობელთან, რომ კაბის თარგის მოსატანად წავედი და ახლავე დავბრუნდები.

— რომ დააგვიანო?

— შენ არ დაიძინო, დამელოდე.

ისევ ასხურებს ოდეკოლონს და ლოყაზე კოცნის.

ლიზა დიდი ეშმაკი ვინმეა. იცის, როგორ უნდა მოუქონოს ბიჭს თავი. ბებო თხაგლეჯიას ეძახის. მართლაც თხაგლეჯიაა. ლიზა ერთ ხანს ფანჯრის რაფაზე ზის, უცდის, როდის გაივლიან მეთევზეები. მერე ხელებით კაბის კალთას იმაგრებს და ხტება. ერთი, ორი... და აღარ ჩანს. ნიკა რატომღაც თვალებგაბრწყინებული გაჰყურებს ქუჩას. შორიდან ზღვის შხუილი ისმის. ამ წუთს ბიჭი ძალიან კეთილია. ზღვის შხუილი ამშვიდებს. „რა კარგია, — ფიქრობს იგი, — რა კარგია, რომ ასეთი გულადი და მყავს. მას რომ ვინმემ აწყენინოს, ალბათ, თავს შევაკლავ. რა თქმა უნდა, ეს ძნელია, მაგრამ ლიზას გულისთვის...“

ქუჩაში ხმაური შეწყდა. სუბტროპიკული ტექნიკუმის შენობაშიც ჩაქრა შუქი და ფანჯრის წინ გასაღებების ჩხარუნით ჩაიარა შუქურის ზედამხედველმა. ნიკას შესცივდა. თმა აებურძგლა და კანი გაუღურჯდა. ტანზე გაიხადა და ლოგინს მიაშურა. იგი დაიღალა. მაგრამ მაინც არ ეძინება. შთაბეჭდილებები და ფიქრები დაფათურობენ გონებაში. მერე თვალებს ხუჭავს და ჯაბას ხედავს. ჯაბა მათი სახლის წინ, თუთის ხესთან დგას. ცოტა ხნის შემდეგ ლიზაც გამოჩნდა. ლიზას თეთრი კაბა აცვია და თვალები უცინის, ჯაბასაც უცინის თვალები. ჯაბა ყვავილს აწოდებს. ეს გვირილაა. მაგრამ რატომაა, რომ ლიზას ხელში გვირილა სხივებს იკრებს და კაშკაშებს?

„ეს მზეა“, — ამბობს ლიზა. „მზე კი არა, გვირილაა, მოიგონებ შენაც“. — ამბობს ჯაბა. „კარგი, გვირილა იყოს“. — ეთანხმება ლიზა და ხელს ჰკიდებს. ისინი მიდიან, ხელიხელჩაკიდებულნი მიდიან. მღერიან. მღერის ცა. მღერიან ჭადრები. მღერის ქუჩა.

* * *

ლიზა ფანჯარასთან ზის და სლუკუნებს. ღამეა. ქუჩიდან ფანრის შუქი შემოდის და მკრთალად ანათებს ოთახს. ნიკა თავს სწევს, ბალიშს ეყრდნობა

და გაკვირვებული შეჰყურებს.

— რა მოხდა, ლიზა?

ლიზა დუმს.

„ახლა მოსულა“ — ფიქრობს ბიჭი, — ნეტა რომელი საათია? ეტყობა, ძალიან დააგვიანა და დედა გაუწყრა. ჰო“. ბიჭი საბანში ეხვევა და ამთქნარებს. ლიზა ტირილს უმატებს.

— აღარ იტყვი, რა მოხდა?

— დაიძინე. — ეუბნება ლიზა და მხრები უთრთის. ლიზას „დაიძინე“ ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ყრუდ ისმის. „ალბათ, ძალიან აწყენინა დედამ“.

ნიკა ქარის შხუილს უსმენს. ხეებს ფოთლები ცვივა. ქარი ფოთლებს იტაცებს და ფანჯარას აყრის.

— საშვი მოიტანე?

ტირილი შეწყდა. გარეთ, ეზოში რაღაც ძლიერი ხმაური გაისმა. თუნუქი თუ ააძრო ქარმა სახურავს. ბიჭმა ისევ გამოჰყო საბნიდან თავი.

— ჯაბა ნახე?

ლიზა ზურგით ზის მისკენ და ბიჭი ხედავს, როგორ უთრთის დას მხრები. უცებ ლიზა ბრუნდება, ხელებს სახეზე იფარებს და სამზარეულოსაკენ გარბის. ნიკას გული მოსდის. ერთ ხანს ჩუმად წევს. მერე მოუსვენრობა იპყრობს. ამ მოუსვენრობამ ჯერ წამოაყენა, მერე ფოსტლები მოაძებნინა და სამზარეულოში შეახედა. იქ ბებია დახვდა.

— კი მაგრამ, რა ეშმაკი შეგიჩნდათ ამაღამ? — მხრები მოწურა ბებიამ, — რატომ არ გძინავთ? დედათქვენი შინ რომ არაა, მაინცდამაინც მაშინ უნდა გადაირიოთ?!

ბიჭი გაოცებული შეჰყურებს ბებიას.

„რაო? მაშ, დედა შინ არაა? მაშ, დედა არ გაწყრომია ლიზას?“

ერთ ხანს კიდევ დგას სამზარეულოში. ფიქრობს, შევიდეს თუ არა ლიზასთან. ფოსტლებსა და მოკლესახელოებიან მაისურში გამოწყობილი, კიდევ უფრო პატარა და სასაცილო ჩანს. იგი ხედავს, როგორ იღება დედის ოთახის კარი და როგორ უახლოვდება ლიზა. ლიზა აღარ ტირის. უპეები დასიებია და აწითლებია. ლიზა გაურბის ბიჭის მზერას, მაგრამ ბიჭი დაჟინებით უყურებს და არაფერს ეკითხება.

* * *

მერე როგორ მოხდა ყველაფერი, აღარ მახსოვს. ვიცი, საღამო იყო და ბიჭებთან ერთად ჯაბას საწვრთნელ მოედანზე მივაკითხე. კარგა ხანს გვალოდინა. ბოლოს ჩოფურა დარაჯთან ერთად გამოვიდა ქუჩაში და ხმამაღლა იკითხა: — აბა, რომელი მეძახდა? — ნავარჯიშევი ჩანდა, ხელში პირსახოცი ეჭირა და სახეს იმშრალებდა. დამინახა. არც გაკვირვებია.

— ა, ეს შენა ხარ, ბულბულო? საშვისათვის მომაკითხე?

— არა, — ვუთხარი, — მე ჩემი უბის წიგნაკი მინდა.

— აჰ, წიგნაკი! ის სულელური წიგნაკი? არც მახსოვს, სად დავტოვე.

გონება ამერია. ყელში რაღაც მომაწვა და კინაღამ დამახრჩო.

— იცი, იცი, რა ხარ?

— რაო?

— უსინდისო ხარ...

— კი, მაგრამ, რას მერჩი, ა?

— ბურთის თამაში იცი მარტო, თამაში და მეტი არაფერი. აბა, რად გინდოდა ჩემი წიგნაკი? რად აწყენინე ლიზას?

— კარგი, ბულბულო, გაიგონებენ, — და მხარზე დამადო ხელი. სწრაფად ჩამოვიცილე და საშინელი სიტყვები წამცდა. თვითონაც არ ვიცი, როგორ წამცდა. სახე გაუფითრდა.

ვიგრძენი, თვალები დამიბნელდა, ისე დამიბნელდა, როგორც მაშინ, როცა გაბომ გამარტყა ხელი. არ წავქცეულვარ. ატირებას არაფერი მაკლდა, მაგრამ მაინც ამაყად ვუთხარი:

— ტფუ! — და გამოვბრუნდი.

— გიჟია, — მომესმა ჯაბას ხმა. ეს მან, ალბათ, დარაჯს უთხრა, — ხანდახან მოვა ასე და ნერვებს ამიშლის.

— მეტს აღარ შემოუშვებ, — თქვა ვიღაცამ, ალბათ, დარაჯმა.

შინ გვიან მივედი. ლიზას ეძინა. მხოლოდ დედა იჯდა მაგიდასთან და ხალათს მიკერავდა. შემხედა. შეშინდა. „ავად ხომ არა ხარო“ — მკითხა შეშფოთებით. „დავიღალე-მეთქი“,— ვუთხარი და ვახშამს არც მივკარებივარ. ისე შევწექი ლოგინში. დიდხანს ვწრიალებდი. როცა თვალები დავხუჭე და ჯაბა დავინახე, იგი აღარ მღეროდა. იგი ისეთივე მრისხანე და ბრაზიანი იყო, როგორც მაშინ, ქუჩაში. და რამდენიც არ ვეცადე სხვანაირი წარმომედგინა იგი, მუდამ ისეთივე რჩებოდა, მრისხანებისაგან გაფითრებული და უხეში.




ფოტო დ. იაკობაშვილის.

მაისში ძალზე სასიხარულო ამბავი შეიტყო საქართველოს ლიტერატურულმა საზოგადოებრიობამ, ახალგაზრდობამ: მწერალ ნოდარ ვლადიმერის ძე დუმბაძეს 1966 წლის ლენინური კომკავშირის პრემია მიენიჭა. ეს მეტად საპატიო პრემია ნიჭიერმა მწერალმა დაიმსახურა მოთხრობებით: „მე ვხედავ მზეს“ და „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

ამ მოთხრობებმა გამოსვლისთანავე მიიპყრეს მკითხველთა ყურადღება და სამართლიანი სიყვარული მოიპოვეს, ახალგაზრდობამ შეიყვარა მისი ცხოვრების სარკედ ქცეული ეს დიდი ადამიანური გულითა და ჰკვიანური ჰუმორით გამთბარი წიგნები. ამ სიყვარულმა განაპირობა დუმბაძის მოთხრობების გმირთა წარმატება სცენაზეც.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია გულთბილად ულოცავს მწერალ ნოდარ დუმბაძეს ლენინური კომკავშირის პრემიის მინიჭებას და მრავალ ახალ შემოქმედებით წარმატებას უსურვებს.

# ძვირფასი საჩუქარი




დიდი რუსთაველის სახელთან დაკავშირებული მრავალი საყურადღებო ძეგლი და მასალაა დაცული გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

მუზეუმი რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა რაიონში. მისი მუშაკები სისტემატურად აწყობენ ექსპედიციებს, ეძებენ და აგროვებენ შოთა რუსთაველის სახელთან და ეპოქასთან დაკავშირებულ მასალებს. ერთ-ერთი ასეთი ექსპედიციის დროს, სოფელ ნახარებოუს მკვიდრმა —პარასკევა მოწერელიამ უსასყიდლოდ გადასცა მუზეუმს „ვეფხისტყაოსნის“ დღემდე უცნობი ხელნაწერი. ხელნაწერი შეიცავს 187 ფურცელს და ჩასმულია ტყავგადაკრულ ამოტვიფრულ ყდაში. როგორც გადამწერის მინაწერიდან ჩანს, პოემა გადაწერილია 1825 წელს.

საიდან მოხვდა ეს ხელნაწერი გეგეჭკორის რაიონში?

აღსანიშნავია, რომ შოთა რუსთაველის ეპოქაში ჭყონდიდი ერთ-ერთი დაწინაურებული ეკონომიური და კულტურული კერა იყო. აქვე იყო სახელგანთქმული მარტვილის მონასტერი. აქ დაიბადნენ და აღიზარდნენ ცნობილი მოღვაწეები: იოანე მინჩხი და გიორგი ჭყონდიდელი. აქვე სამოღვაწეოდ მოიწვია ბაგრატ IV სახელოვანი მოღვაწე გიორგი მთაწმინდელი. მარტვილის ლავრაში არაერთხელ გადაწერილა „ვეფხისტყაოსანი“. პოემის უკანასკნელი ხელნაწერი აქვე შეუსრულებია მღვდელ მოწერელიას.

გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა უკვე დაამთავრა ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა.

**ნაზი ჯვებენავა,**

საქართველოს კპ გეგეჭკორის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.



## უმღერიან რუსთაველს

# რუსთაველის საქართველო

**მარი აბრამიშვილი**

ჩვენ ასეთი სიყვარული ვიცით,
ჩვენ ასეთი მეგობრობა ვიცით,
ჩვენ ასეთი თავგანწირვა ვიცით,
ფასი ვიცით რუსთაველის მიწის.

სიყვარულის ზღვა შეგვასვა მოყვრებს
ვეფხის ტყავით შემოსილმა მოყმემ;
ჭირთა თმენა, დიდთა ჭირთა მალვა, —
ეს გვასწავლა უნაზესმა კალმა;

მ[illegible]არისთვის თვით ქაჯებთან შებმა, —
[illegible]ღილმა, ავთანდილმა შენმა;
— ლექსით წვა, პოეზიის მეფევ,
[illegible]დს უეკლოდ რადგან არსად კრეფენ.

შოთავ, ტახტი რომ დაუდგი მთვარის,
მზე გვირგვინად რომ დაჰხურე ხელით, —
საქართველო რა ლამაზი არის,
საქართველო ნესტანია ჩვენი.

შოთავ, მისი უკვდავების მდომი,
მისი ძალაც და დიდებაც შენ ხარ,
შოთავ, ეს შენ გაალომე ლომი
და ვეფხვიც ხომ შენ აქციე ვეფხვად.

მაშ, სად იყავ, სად მოხუცდი შენა,
ხელაპყრობით ვის შესთხოვდი შველას?
ვით სანთელი, პალესტინას ენთე
და სამშობლოს ავედრებდი ღმერთებს?
თვითონ ღმერთი, თვით ღმერთების მეფე...

განა ჯვარის მონასტერში ტირი,
რომ სამშობლო აგრე დაგიშორდა, —
მსოფლიოში გამყინავი გმირი
საქართველო —
ეს შენა ხარ, შოთავ!

ჩვენ ასეთი სიყვარული ვიცით,
ჩვენ ასეთი მეგობრობა ვიცით,
ჩვენ ასეთი თავგანწირვა ვიცით, —
ფასი ვიცით
რუსთაველის მიწის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ხარაბა





წალკის რაიონში არის სოფელი ახალი ხარაბა. სოფელში 500-მდე კაცი ცხოვრობს. ადრე აქ ნასოფლარი იყო. 1855 წელს ქართველების მთაგორიან ნამოსახლარზე ბერძნები მოვიდნენ, მიწურები აიშენეს, ერთმანეთთან მისასვლელი გზები გაკვალეს, სოფლის ბოლოს წყარო მოძებნეს და თავიანთ სამოსახლოს ახალი ხარაბა (სოფელი) უწოდეს.

გავიდა წლები... სოფელში პირველად დასახლებულთა შთამომავლებმა წინაპრების ცხოვრება გააგრძელეს, მოესწრნენ ახალი სახლების სიმრავლეს, ელექტრონით განათებულ ღამეებს, რადიოთი მოტანილ ამბებს, კოლმეურნეობის სიმძლავრეს და საქართველოს მიწაზე შინაურად იგრძნეს თავი.

1965 წლის ბოლოს სოფლებიდან სასიხარული ცნობები მოვიდა — მშრომელებმა დიდი რაოდენობით მოიყვანეს ჩაი, ყურძენი, კარტოფილი და სხვა კულტურები. წალკის რაიონმა, რომლის ძირითადი კულტურა კარტოფილია, დიდი გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების გეგმა. რაიონში შრომით თავი ისახელა ახალმა ხარაბამ. ამ სოფლის კოლმეურნეობას 80 ჰექტარზე კარტოფილი ეთესა და გეგმით ჰექტარზე 100 ცენტნერი უნდა აეღო. კარგი მოვლის, ტექნიკის გამოყენებისა და შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად გასულ წელს ჰექტარზე კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა 148 ცენტნერი იყო.

ყოველწლიურად იზრდება კარტოფილის მოსავალი წალკის რაიონში. წალკელების დამსახურებაც არის, რომ გასულ წელს პირველად მთლიანად დაკმაყოფილდა რესპუბლიკა საკუთარი კარტოფილით.

კარტოფილმა კარგად იხარა საქართველოში. არა და, რა დიდი გზა გამოიარა, სანამ ჩვენამდე მოაღწევდა! მისი სამშობლო სამხრეთ ამერიკაა. პერუსა და ჩილეში დღესაც ხარობს ველური კარტოფილი. ესპანელებმა, რომლებმაც პირველად ნახეს ეს უცხო მცენარე, მას ყურადღება არ მიაქციეს. XI საუკუნეში კარტოფილმა ოკეანე გადმოლახა და ევროპაში შემოდგა ფეხი. ევროპელებმა თავდაპირველად ვერ შეაფასეს მისი მნიშვნელობა.



რუსეთში კარტოფილი პეტრე I-ის დროს შემოვიდა. პეტრემ ჰოლანდიიდან ერთი ტომარა კარტოფილი გამოგზავნა და ბრძანა დაეთესათ. გლეხებმა ამ კულტურას ხიშტი შეაგებეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. რუსეთიდან კარტოფილი საქართველოშიც შემოვიდა და ჩვენს მიწას მიეკედლა.

სარგებლიანობის მხრივ კარტოფილი ერთერთი ძირითადი კულტურაა. მას სამართლიანად უწოდებენ „მეორე პურს". მას გამოყენება აქვს, აგრეთვე, სახალხო მოხმარების მთელ რიგ დარგებში. კარტოფილი, გარდა იმისა, რომ კვების საუკეთესო პროდუქტია, გამოიყენება მედიცინაში, მრეწველობაში, პარფიუმერიაში და ა. შ.

ეს ყველაფერი კარგად იციან ახალი ხარაბის კოლმეურნეებმა. ამიტომ შრომობენ თავდადებით, ბუნებას ართმევენ იმაზე მეტს, რაც ევალებათ.

კარგ შრომას კარგი ანაზღაურებაც მოსდევს. სოფელი გამდიდრდა, წელში გაიმართა. მარტო კარტოფილით კი არ ამაყობენ აქაურები. 129 ჰექტარზე მარცვლეული უთესიათ, ფერმებში 414 სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი ჰყავთ, 1550 სული — ცხვარი და თხა, 57 სული — ღორი.

კარგი შრომითი მაჩვენებლები ჰქონდათ გასულ სამეურნეო წელს მწველავებს და მემინდვრეებს. ფეოტიტი კატიგაროვამ თითოეული საფურაჟე ძროხიდან 1140 ლიტრი რძის ნაცვლად 1760 ლიტრი რძე მიიღო, სოფიო კხისრარიდმა — 1400 ლიტრის ნაცვლად 1650 ლიტრი, ვიოლეტა ფილიპოვამ — 1400 ლიტრის ნაცვლად 1500 ლიტრი, მარია ხარტისოვამ — 1400 ლიტრის ნაცვლად 1620 ლიტრი.

100 ცენტნერი კარტოფილის ნაცვლად ჰექტარზე 148 ცენტნერი კარტოფილი მოიყვანა ანასტასია პაპასტოვამ, 145 ცენტნერი — დესპინე ფილიპოვამ, 145 ცენტნერი — სოფიო ხაჯიევამ.

ჩვენი კორესპონდენტი ზაფხულზე ეწვია სოფელს და ასეთი სურათი ნახა:









ჩამოცხა, მაგრამ დილით მაინც სიგრილე მოდის მთებიდან. კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანს დესპინე ფილოპოვას დილით ქარმა თმა წამოუშალა, კმაყოფილი ღიმილი კი ვერ მოსტაცა სახიდან (სურათი № 1).

სცენისმოყვარეა ზოია პაპანდოპულო. ახალ როლზე საფიქრელად კი დრო აღარ დარჩა, მეგობრები მინდორში სამუშაოდ ეძახიან (სურათი № 2).

ძროხები გორაკზე ასულან, ღრუბლებთან გასატოლებლად (სურათი № 3).

მომვლელებმა ხბორები გამორეკეს ჰაერზე (სურათი № 4).

ქალები მიდიან წყაროზე. წყალი შორსაა, დიდი გზაა გასავლელი. გზაზე გორაკებია. იღლებიან ქალები. სოფელს წყლის გამოყვანა სჭირდება და ეს საქმე მალე უნდა მოგვარდეს (სურათი № 5).

აბიბინებულ ბალახზე ცხვარი გაშლილა (სურათი № 6).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# სახალხო თეატრის სცენაზე

საღამოვდება. ჩვენმა მანქანამ სოფელ ველისციხისკენ ჩაუხვია. კრიალოსნის მძივებივით ამოსდგომიან ერთმანეთს სახლები მთავარ ქუჩაზე. გზაზე ხალხი ირევა. ჯგუფ-ჯგუფად მიდიან. განწყობილება და ჩაცმულობა საზეიმო აქვთ. სოფლის მოედანზე უფრო მეტნი დაგვიხვდნენ. მიზეზი სახალხო თეატრის აფიშამ გვაუწყა. დიახ, დღეს ველისციხელი სცენისმოყვარეები თავიანთ თანასოფლელებს გიორგი შატბერაშვილის „რკინის პერანგს" უჩვენებენ. ხალხის მოძალება სპექტაკლზე უკვე აღარავის აკვირვებს, ეს ტრადიცია აქ გასულ საუკუნეში დამკვიდრდა და დღესაც ძალუმად იგრძნობა.

ზოგს თავისი თვალით უნახავს, ზოგს კი ღრმა მოხუცებისაგან მოუსმენია ის, თუ როგორ გაიმართა პირველი წარმოდგენა 1885 წელს თავად ივანე ჯანდიერის სახლში. დიდხანს ამზადეს გიორგი ერისთავის კომედია „ძუნწი". ტანსაცმელი სოფელში ინათხოვრეს, სცენისათვის საჭირო ნივთები კი ივანე ჯანდიერმა შეარჩია თავისი ოჯახიდან. წარმოდგენით ყველა ნასიამოვნები დარჩა. თუმცა ეს მარტო სიამოვნება არ ყოფილა. ისინი ამ დღეს ეზიარნენ რაღაც ახალს, თითქმის უცნობს. იქნებ სახალხო სანახაობები „ბერიკაობა" ან „ყეენობაც" გაახსენდათ, სადაც რიტუალურთან თეატრალურიც ბევრი რამ იყო შერწყმული, მაგრამ ეს მაინც სულ სხვა გახლდათ.

სიახლემ გატაცება იცის და ველისციხელებიც გახალისდნენ. ახლა რაფიელ ერისთავის „ბიძიასთან გამოხუმრებას" მოჰკიდეს ხელი. ამ წარმოდგენამ უფრო მეტი სიხარული მოუტანა როგორც სცენისმოყვარეებს, ისე მაყურებელს. პირველნი თავს უკვე „ნათლობა-მიღებულად" გრძნობდნენ, მეორეებმა კი სურვილის მოძალება იგრძნეს და სცენისკენ გაემართნენ. მომრავლდნენ ენთუზიასტები. ამან „მსახიობებისა" და „რეჟისორის" საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობაც გაზარდა და არჩევანი დავით ერისთავის „სამშობლოზე" შეაჩერეს. გაიხარა კახელი კაცის ჭირგამოვლილმა გულმა ამ ღრმა პატრიოტული ნაწარმოების გაცნობით და, მათივე დაჟინებული თხოვნით სწორედ ისტორიულ პიესებს მიეძალნენ: დადგეს აკაკის „პატარა კახი", ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი", აგრეთვე ა. ცაგარელის „ციმბირელი" და „ხანუმა".

ამ ამბავს გაზეთი „დროება" გამოეხმაურა. მთელმა საქართველომ გაიგო ველისციხელთა საქმიანობის შესახებ; განსაკუთრებით თეატრის მოღვაწეები აღფრთოვანდნენ და, მხარდაჭერის მიზნით, ველისციხის ხშირი სტუმრები გახდნენ. აქ ჩამოდიოდნენ და ველისციხელთა წარმოდგენებში მონაწილეობდნენ გამოჩენილი მსახიობები: ლადო მესხიშვილი, ვასო და ტასო აბაშიძეები, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა, ვალერიან გუნია, გ. არადელი-იშხნელი, მაკა ქართველიშვილი, ალექსანდრა კარგარეთელი და სხვები.

1912 წელს, ველისციხელებმა რეჟისორად მიიწვიეს მაკო საფაროვას ძმა — შაქრო საფაროვი. შაქრო საფაროვმა დასადგმელად აირჩია ფრანგი დრამატურგის დე კურსელის პიესა „ორი ჯიბგირი". ამ წარმოდგენაში უფროსებთან ერთად შვიდი წლის გოგონა მარო მესხიც მონაწილეობდა. წარმოდგენის შემდეგ, ტაში რომ აგრიალდა, თურმე მადლობის გადასახდელად ისიც გამოვიდა ფარდის წინ და ეგონა, ყველაზე მეტად მე მოვხიბლე მაყურებელიო. მოეწონა ეს საზეიმო განწყობილება, პირველად ნახული ევროპული ტანსაცმელი და ახალი როლის „თამაშზე" დაიწყო ოცნება, მაგრამ მამამისმა თბილისისაკენ გამოამგზავრა გიმნაზიაში სასწავლებლად.

ახალმა გარემოცვამ თითქოს გადაავიწყა კიდეც ბავშვობაში განცდილი ნეტარება. დროც შეუმჩნევლად გავიდა. გაიზარდა. ბუნებით დაუდგრომელს, მშვიდად ვერასოდეს ნახავდით. ერთხელ მოეხალისა და გიმნაზიის დერეფანში სიმღერა დაიწყო. ყველა გარს შემოეხვია. უცებ მოწაფეთა წრე გაირღვა და მის წინ სახელგანთქმული კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი აღიმართა. მოულოდნელობისაგან ენა ჩაუვარდა გოგონას.

— იმღერე, — უთხრა მუსიკის მასწავლებელმა, მაგრამ რომ ვერ დაიყოლია, თავისთან წაიყვანა და იქ ამღერა. დაბალი სოპრანო აღმოაჩნდა, თითქმის ბუნებრივად დაყენებული სოპრანო. კომპოზიტორმა გაკვეთილებიც დაუნიშნა ქალიშვილს დიდი და საინტერესო მომავლის მოლოდინში, მაგრამ ისე მოხდა, რომ მარო მესხი კვლავ თავის მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა.

სცენისმოყვარე ელისო იანქოშვილის მიერ შექმნილ მუდმივ თეატრალურ დასში ნათამაშებმა როლებმა (კნიაჟნა ფაცია—შალვა დადიანის „გუშინდელნში", ნინო — ალექსანდრე ყაზბეგის „არსენაში", მარი —მისივე „განკიცხულნში"), მაყურებლის სითბომ, სიყვარულმა და აღიარებამ მომავლის იმედი გაუღვივა გულში.



დედოფალი. „სინათლე".

1930 წელს ველისციხის კულტურის სახლი სახელმწიფო თეატრად გადაკეთდა. ამ ხნიდან იწყება მარო მესხის პროფესიული დაოსტატებისა და ჭეშმარიტი შემოქმედებითი ძიებისა და ზრდის პერიოდი.

იოსებ მებურიშვილის მიერ დადგმულ ალექსანდრე ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენ-



რუქაია. „ღალატი“.

ში“ მარო მესხი კრუჩინინას თამაშობს. ამ როლს მსახიობის შემოქმედებაში ყველაზე დიდი ადგილი უკავია. კრუჩინინას სულიერი დრამის სცენური ხორცშესხმა, დიდ ტკივილთან ერთად, განუზომელ სიხარულს ანიჭებდა მსახიობს.

კრუჩინინას როლმა მარო მესხს საბოლოოდ დაუმკვიდრა თეატრში პირველი მსახიობის ადგილი. ამ საპატიო მდგომარეობამ კიდევ უფრო გაზარდა მსახიობის საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობა. იგი ბეჯითად მუშაობს მსახიობის ოსტატობაზე, გიმნაზიაში მიღებულ ცოდნას კი თვითგანვითარებით ავსებს, გატაცებულია ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, ბლოკისა და ესენინის პოეზიით და აწყობს ლიტერატურულ საღამოებს, სადაც მხატვრულ კითხვასთან ერთად გიტარაზე მღერის ბოშურ სიმღერებს.

მარო მესხი ყოველთვის ესწრაფოდა მძაფრ დრამატულ როლებს და მათი სრულყოფილად წარმოსახვის უნარიც გააჩნდა.

საინტერესო სცენური სიცოცხლე შთაბერა მარო მესხმა ძიძიას ალ. ყაზბეგის „ხევისბერ გოჩაში“. მისი ძიძია გამოირჩეოდა გულწრფელობით, ონისეს განუზომელი სიყვარულითა და ადამიანურობით.

მსახიობს ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარულში“ ორივე მთავარი როლი აქვს ნათამაშები. მისი ლუიზა მოკრძალებული, სათნოებით აღსავსე მოსიყვარულე ქალწული იყო, ლედის როლში კი მაყურებელი გრძნობდა ამაყი და გულქვა, მაგრამ უიმედოდ შეყვარებული არისტოკრატი ქალის ტრაგედიას.

თავისი ორმოცი წლის სასცენო მოღვაწეობის მანძილზე, მარო მესხს მრავალი დასამახსოვრებელი სახე შეუქმნია ველისციხის თეატრში. მათ შორის დედოფალი — „სინათლეში“, მარინე „და- ძმაში“, რუსუდანი —„ჟამთაბერის ასულში“, სიდუ —„გეგეჭკორში“, ლიდა —„პლატონ კრეჩეტში“, რუქაია — „ღალატში“ და სხვა. მსახიობის მიერ შექმნილ სახეთა რიცხვი ორასს აღემატება.

მთავრობის მრავალი ჯილდოთი აღინიშნა მარო მესხის დამსახურება სამშობლოს წინაშე, 1961 წელს კი, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავზე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

თხუთმეტი წლის წინ, ველისციხის სახელმწიფო თეატრი, კვლავ კულტურის სახლად გადაკეთდა. დაიშალა თეატრის ძველი დასი, თუმცა ამან მაინც ვერ გაუნელა ველისციხელებს თეატრალური ხელოვნების სიყვარული. მარო მესხისა და ალექსანდრე ყაზაროვის ინიციატივით ველისციხელებმა საფუძველი ჩაუყარეს სახალხო თეატრს, სადაც კვლავ ჩვეული ენთუზიაზმით მუშაობენ. სახალხო თეატრის მთავარ რეჟისორს — ალექსანდრე ყაზაროვს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს სცენისმოყვარეთა როგორც ძველი, ისე ახალი თაობა. საინტერესო სახეების გამოძერწით მაყურებელთა მოწონებას იმსახურებენ: კოლმეურნე ალექსანდრე მესხი, მექანიზატორი მიხეილ გომშიაშვილი, მოსამსახურე ბორის ჯაშიაშვილი, გ. ასიტაშვილი, ლ. ჯაშიაშვილი, ა. ჯანჯიბუხაშვილი; ახალგაზრდები: ი. გოგოლაძე, ვ. შალაშვილი, ო. კაკაბაძე, ს. გაბიტაშვილი, მ. ბლუაშვილი, ო. მიჩიტაშვილი, შ. შანყულაშვილი და სხვები.

გასულ სეზონში თეატრმა ხუთი ახალი დადგმა უჩვენა ველისციხისა და კახეთის რაიონების მაყურებელს. მათ შორის სტეფანე და ალექსანდრე მხარგრძელების პიესები: „მიცვალებული იძულებით“ და „ცრემლი და ლუკმა“, ე. ნინოშვილის „ქრისტინე“. ქალაქ თბილისში გამართულ სახალხო თეატრების რესპუბლიკურ კონკურსზე ველისციხის სახალხო თეატრის კოლექტივმა მეორე ადგილი დაიკავა. საკონკურსოდ წარმოდგენილ სპექტაკლში —„ახალი მისამართი“, როლების საუკეთესოდ შესრულებისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ პირველი ხარისხის დიპლომებით დააჯილდოვა თეატრის მოწინავე მსახიობები: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მარო მესხი და უხუცესი მსახიობი ეკატერინე ღორიაშვილი. თეატრის მთავარი რეჟისორის ალ. ყაზაროვის ნამუშევარი კი მეორე ხარისხის დიპლომით იქნა აღნიშნული.

არანაკლებ საინტერესო გეგმები აქვთ ველისციხელებს წლევანდელ სეზონში. გასული სეზონის სპექტაკლებთან ერთად წელს ისინი ბევრ ახალ სპექტაკლს უჩვენებენ.

...ხალხით არის გაჭედილი ველისციხის სახალხო თეატრის მაყურებელთა დარბაზი. უმეტესობა ახალგაზრდობაა. ვინ იცის, მერამდენედ უყურებენ გიორგი შატბერაშვილის „რკინის პერანგს“ თვალს არ აშორებენ თავიანთი თანასოფლელების შემოქმედებას, მათთან ერთად განიცდიან ომის საშინელებით გამოწვეულ ტკივილებს და ტაშით აჯილდოებენ სცენისმოყვარეთა გულწრფელ თამაშს. ალბათ, კვლავ მრავალ ახალგაზრდას გაუწევს გული სცენისკენ. და თუ მათ სახეს ერთხელ მაინც გაუნათებს რამპის ჩირაღდნები, მერე ვეღარ მოსცილდებიან სცენას. ვინ იცის, შეიძლება მათ შორის მართლა არის ნამდვილი ტალანტი. ეგებ, ველისციხის თეატრის სცენა მათთვის დასაწყისი იყოს დიდი ხელოვნების მწვერვალებისაკენ მიმავალი გზისა.

თ. ცერცვაძე



კრუჩინინა. „უდანაშაულო დამნაშავენი“.



ქრისტინე. „ქრისტინე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის შესახვედრად

# პოეტის მეუღლე

პოეტ გიორგი ქუჩიშვილს ჰყავდა შესანიშნავი მეუღლე, რომელთანაც დიდი სიყვარული და პატივისცემა აკავშირებდა. ამ სიყვარულმა გაუძლო მრავალ განსაცდელს. ამ სიყვარულმა ორთავეს ძალა შემატა იმ ნაყოფიერი შრომისათვის, რასაც ისინი ეწეოდნენ.

სანამ ერთმანეთს გაიცნობდნენ, გიორგი ქუჩიშვილი ლექსებით მოევლინა ქვეყანას, ვასასი რამიშვილი კი რევოლუციის საქმეს ეზიარა.

ვასასი რამიშვილი დაიბადა 1885 წელს, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვემო სურებში. მამამისმა ონისე რამიშვილმა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის რამდენიმე წელი გადასახლებაში გაატარა. ვასასი ორკლასიანი სასწავლებლის მეორე კლასიდან გამოვიდა ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო. იგი ადრე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. აი, რას წერს ამის შესახებ ცნობილი მოღვაწე ალფეზ ხელაძე:

„ვასასი ონისეს ასულ რამიშვილ-ჩხეიძეს, ცნობილი ქართველი პოეტის გიორგი ქუჩიშვილის მეუღლეს, მე ვიცნობ 1904 წლიდან. იმ დროს იგი გურიაში ცხოვრობდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში. იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის რიგებში. რეაქციის გამარჯვების შემდეგ, 1906 წელს, მას დევნა დაუწყო ოზურგეთის სამაზრო ადმინისტრაციამ, ჟანდარმერია-პოლიციამ. ვასასი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა გურია. ის საცხოვრებლად გადავიდა ბათუმში, მუშაობა დაიწყო სტამბაში და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დავალებით ბეჭდავდა ცარიზმის საწინააღმდეგო პროკლამაციებს. მისი რევოლუციური საქმიანობა არ გაპოეპარათ ცარიზმის აგენტებს. მას აეკრძალა ცხოვრება ბათუმში. ეს იყო, როგორც მახსოვს, 1907 წლის ბოლოს“.

ამავე პერიოდს ეხება ვასასი რამიშვილის უახლოესი მეგობრის, რევოლუციური მოძრაობის მონაწილის ანა გორდელაძე-ცენტერაძის მოგონება. მან ვასასი რამიშვილი ბათუმში გაიცნო 1907 წელს. ა. გორდელაძე ვასასის ახასიათებს, როგორც გონიერ კონსპირატორს, კარგ ასოთამწყობს, გულთბილ და მზრუნველ მეგობარს. 1909 წელს ვასასი რამიშვილი საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში და სტამბაში დაიწყო მუშაობა. იგი გაეცნო და დაუახლოვდა მაშინ უკვე სახელმოხვეჭილ პოეტს გიორგი ქუჩიშვილს.

1912 წლის 20 იანვარს ვასასი რამიშვილი დააპატიმრეს. მას ბრალად ედებოდა კამოს გაქცევის საქმეში მონაწილეობა. ვასასის ბინაში ტანისამოსი გამოიცვალა მიხაილოვის საავადმყოფოს დარაჯმა ბრაგინმა, რომელმაც გააპარა საავადმყოფოდან კამო და თვითონაც უნდა დამალოდა ჟანდარმერიას.

ანა გორდელაძე-ცენტერაძის გადმოცემით, ვასასი სტამბაში მუშაობისას დააპატიმრეს. იგი ჯერ წაიყვანეს მის ბინაში, სადაც ჩხრეკა უნდა ჩაეტარებინათ. გზად ვასასიმ ფუნთუშის ყიდვა მოიმიზეზა და მაღაზიაში შევიდა. მან მოახერხა იქვე მყოფი სტუდენტისათვის თავისი მისამართის გადაცემა. ვიდრე ვასასი ფუნთუშებს შეჭამდა, უცნობმა სტუდენტმა მოასწრო მის ბინაში მისვლა და ვასასის ძმის — აკაკის გაფრთხილება. აკაკიმ მოსპო ბრაგინის გამონაცვალი ტანსაცმელი. ბინის გაჩხრეკის შემდეგ ვასასი წაიყვანეს..

საცოლეს დაპატიმრებამ მეტისმეტად დაამწუხრა გიორგი ქუჩიშვილი. ამის შესახებ პოეტი კიევში მყოფ ძმას დავით თურდოსპირელს სწერდა: „არ ვიცი, როგორ გადავიტან ამ კრიზისს (ე. ი. სატრფოს დაპატიმრებას)... შენ მაინც ყოჩაღად იყავი, თუ ძმა ხარ, დათიკო, თორემ ცუდია მთელი ოჯახის დაძაბუნება და სასოწარკვეთილება“.

გიორგი ქუჩიშვილი ყოველ ღონეს ხმარობდა ვასასის გასათავისუფლებლად. მან და მისმა ამხანაგებმა მოახერხეს ჟანდარმერიის მოხელეების დარწმუნება, რომ თითქოს საავადმყოფოდან კამოს გაქცევის დღეებში, ბინაში, სადაც ბრაგინმა ტანსაცმელი გამოიცვალა, ვასასი რამიშვილის ნაცვლად დროებით სხვა ქალი ცხოვრობდა.

ძიება 1912 წლის აპრილის ბოლომდე გავრძელდა. მამხილებელი საბუთების უქონლობის გამო ჟანდარმერია იძულებული გახდა პატიმრობიდან გაენთავისუფლებია ვასასი რამიშვილი. განთავისუფლების შემდეგ ვ. რამიშვილი კვლავ სტამბაში იწყებს მუშაობას და ისევ ებმება რევოლუციურ საქმიანობაში.

1913 წელს გიორგი ქუჩიშვილი და ვასასი რამიშვილი დაქორწინდნენ.

ვასასი დიდხანს განაგრძობდა სტამბაში მუშაობას. ოცდაათიან წლებში იგი ჟურნალ „ახალგაზრდა მწერლის“ კორექტორი იყო.

1926 წელს სსრ კავშირის პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „პეჩატნიკში“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ვ. რამიშვილი დახასიათებული იყო როგორც შესანიშნავი მუშაკი.

ვასასი რამიშვილი, გიორგი ქუჩიშვილის ღირსეული მეუღლე, ყოველმხრივ ხელს უწყობდა პოეტს შემოქმედებით მუშაობაში. იგი იყო გიორგის ნაწარმოებთა პირველი მკითხველი და შემფასებელი. მათი ურთიერთობა იყო უაღრესად სათუთი, გულწრფელი და სიყვარულით სავსე.

ვასასი რამიშვილი კარგი დედაც იყო. მან აღზარდა შესანიშნავი შვილები: ლიტერატორი ციალა ჩხეიძე და მსახიობი ნოდარ ჩხეიძე.

ვასასი რამიშვილი სიცოცხლეში ნაცნობ-მეგობრების, ხალხის სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა. ამ პატივისცემის გამოხატულებაა ისიც, რომ იგი დაკრძალულია დიდუბის პანთეონში, მეუღლის გვერდით.

**გიორგი ეგრალიძე**

# ზაფხული საქართველოში



პლაჟზე

ნორა ანთიძე



თბილისის ზღვა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მთიულეთში

# ზაფხული საქართველოში

დ. იაკობაშვილი



სოფელ დიკლოსთან



ახალი ათონი

თბილისი. გმირთა მოე



თბილისი, ხედი მეტეხის ციხიდან



თბილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტი



# ზაფხული საქართველოში

თენგიზ ფურცხვანიძე



მზის ჩასვლისას

გასეირნება ზღვაზე



პაემანზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დესანკა მაქსიმოვიჩი

დესანკა მაქსიმოვიჩი იუგოსლაველი პოეტი ქალია. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს იუგოსლავიაში. მის ლექსებს კარგად იცნობენ ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ბულგარეთში, საბჭოთა კავშირში...

დესანკა 1898 წელსაა დაბადებული. ბელგრადის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობს.

ჩვენს ქვეყანაში უყვართ დესანკა მაქსიმოვიჩის ლექსები. აკი საპატიო სტუმრადაც მოიწვიეს პოეტი ქალი 1957 წელს, ახალგაზრდობის VI მსოფლიო ფესტივალზე მოსკოვში. გთავაზობთ მაქსიმოვიჩის რამდენიმე ლექსს.



## ნივთები

ჩვენზე დიდხნობით ცოცხლობენ თითქმის
და არ იციან დარდი ნივთებმა;
თუმც უგულოა ყოველი ნივთი,
ჩვენი ცხოვრების მოწმედ ითვლება.
ხელში მიჭყრია იგივე თასი,
რაც მიანდერძეს ალალ პაპებმა,
ალბათ, ამ სასმისს უწინ ათასი
წინაპრის ხელი ალაპლაპებდა.
დაუხუჭია დედას თვალები,
მეც უთავბოლოო დარდით დავბერდი,
დედის ნაქსოვი ხელთათმანები
ხელში მიჭირავს, როგორც ანდერძი.
ის, ვინც მიყვარდა ქვეყნად, იმ თვალებს
მარადისობა ეტრფიალება,
მაინც ცხოვრების სიტკბო-სიმწარეს
ვსვამთ ყველა ისევ ერთ ფიალიდან.
ჩვენ ვქრებით, როგორც ძველი მითები,
რადგან ამ სოფლის სტუმრად ვითვლებით
და როგორც ჩვენი გულის ნაწილი
მახლობლებს რჩებათ ჩვენი ნივთები!

## შემოდგომის ზეიმი

ტყემ ძოწისფერად იცვალა ფერი,
პირი იბრუნეს ჭალის ჩხართვებმა,
საცაა ველი, როგორც ზღვის ლელი,
ტყვიისფერ ნისლით დაითალხება.
ჭალა ჩიტებზე ფიქრით ერთობა,
ჩამოჭირხლულა ჭალის ფერდობი;
დავიწყებიათ ზამთრის ქარბუქი,
ამღერებულან ხენი ერთობლივ.
გზებზე ლაღანა ფერის წიფლები
დგანან ვაზივით უმანკოები.
ტყე შემოდგომის ფერით ივსება,
დაუხუნძლია უხვად რტოები,
ვეღარ ელევა მზეს და შოშიას,
ირგვლივ სიჩუმე უკვირს, რად არი,
ჩქარა ჩიტების ხმები მოშივა,
სიკვდილს მოუტანს მკაცრი ზამთარი.
შარიშურობენ თეთრი ალვები.
სიხარული აქვთ ხეებს ორწილი,
ფოთლებს გვიქნევენ წითელ ალმებად,
მიიჩქარიან თითქოს ქორწილში.
ზამთარს არავინ უსურვებს დიდ დღეს,
უჩამიჩუმოდ ჩალიჩობს ყველა.
ჰაუ! სად მიდის უსურვაზის ხე?
უშველეთ, თორემ დაახრჩო თელა!

## არა გვაქვს ბრალი

საძხოეთის ქარი შეუჩერებლივ
უნანავებდა მინდვრის ბალახებს,
მოვვლეთ ულევი ტყე და ველები,
გადავიარეთ საიალაღე!
მთელ დღეს ვიარეთ შეუსვენებლივ,
მოგვდევდა უკან ქარი სამხრეთის,
ვკრიფეთ და ვკრიფეთ მინდვრის ფერები,
ვერც მე დაგთმე და ვერც შენ წახველი.
დაღამებამდე ვიარეთ ორმა,
და ვისთან რაღა დასამალია:
ეს გარინდება და გულის თრთოლვა,
საგაზაფხულო ქარის ბრალია!
ყოველ ნაბიჯზე წვეთები წვიმის
ფოთლებს სწყდებოდა, როგორც ამბორი,
მე ვიხსენებდი შენს სათნო ღიმილს,
და კდემით სიტყვას ვეღარ ვამბობდი!
გზებზე მდინარე ვერცხლით ნაფერი,
ვერ იკავებდა ატეხილ სიცილს,
სიცილი, თრთოლვა, ეს ყველაფერი
მესმოდა როგორც უგონო ფიცი.
დაღამებამდე ვიარეთ ორმა,
და ვისთან რაღა დასამალია:
ეს სიცილი და გულების თრთოლვა
სულ მოჭახჭახე ზეცის ბრალია!
გულს სიმღერები მოუნდა უცებ,
აბორგებულ გულს ვერც გაუწყრები,
შენ დაწვდი უცებ თოვლიან ბუჩქებს,
მოძებნე იის სუსტი ყუნწები...
დაღამებამდე ვიარეთ ორმა
და ვისთან რაღა დასამალია:
ეს გაგიჟება და გულის თრთოლვა
ამ ულამაზეს დილის ბრალია!

თარგმნა მედეა კახიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ერთი ლამაზი დღიური

თვრამეტი წელია ყოველ დილით ფხოვის ქუჩისკენ მიიჩქარის და, ვინ იცის, რამდენი მადლიერი გაიჩინა თუნდაც მხოლოდ ამ თვრამეტი წლის მანძილზე. თბილისის ონკოლოგიური დისპანსერის გამგემ თამარ ნანეიშვილმა ყველაზე კეთილშობილური და ჰუმანური პროფესია აირჩია თავიდანვე და მერე ძალღონე აღარ დაუზოგავს ხალხის ჯანმრთელობისათვის ბრძოლაში. მუდმივ ზრუნვაში თმა შეევერცხლა, მაგრამ არ მოხუცებულა. ის ხომ ერთი იმათთაგანია, ვისაც წლები ვერაფერს აკლებენ, ვისაც, მიუხედავად დაფიფქული თმისა და ღრმა ნაოჭებისა, ისევ სიცოცხლის ჟინით სავსე თვალები აქვს. ასეთები კი მუდამ ახალგაზრდები რჩებიან, რადგან მათი უშრეტი ენერგია მხოლოდ სიკეთეს ხმარდება.

დიახ, სწორედ ეს სიკეთე და კაცთმოყვარეობაა, რომ არ აბერებს თამარ ნანეიშვილს. ბევრი თუ წამლით განკურნა, ბევრს მისმა კეთილმა გულმა და ადამიანურმა სითბომ უშველა. „სხვისი სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარიო“, — ალბათ, ასეთ მკურნალზეც თქვა შოთამ.

სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებში თამარ ნანეიშვილი ევაკო-ჰოსპიტლის სამედიცინო განყოფილების უცვლელი უფროსი იყო. განა დაელეოდა საზრუნავი მის გულს, საქმე მის ხელებს, როცა ქვეყანას და ხალხს უჭირდა? „თქვენ მე მეორე დედობა გამიწიეთ, ნამდვილი დედობა. მადლობელი ვარ პროთეზებისათვის. ახლა შემიძლია ნორმალურ ადამიანად დავბრუნდე ოჯახში“, — სწერდა მას მებრძოლი პოლიპენკო.

ასეთი შინაარსის ბევრ წერილს ნახავთ თამარ ნანეიშვილის პირად არქივში.

მაგრამ მისი ბიოგრაფია მაინც უფრო ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე... დაიბადა 1898 წელს ქუთაისში, დაამთავრა მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტი.

...ეს მისი დღიურია, შემოდგომის ფოთლებივით რომ გაჰყვითლებია ფურცლები. რამდენი საინტერესო მოგონებაა აქ!

აი, 1915 წელი, ქუთაისი. აქ გაიცნო თამარმა ია ეკალაძე, გიორგი ახვლედიანი, ვიქტორ ნანეიშვილი და სხვები, რომლებიც მათ სახლში მცხოვრებ მასწავლებელ დავით ავალიანთან იკრიბებოდნენ. აქ იბეჭდებოდა მეფის რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის საწინააღმდეგო პროკლამაციები. აქ გაიცნო მან თავდადებული რევოლუციონერი მიხა ცხაკაია, რომელთანაც შემდგომ, 1921 წელს მოსკოვში მუშაობდა.

დენთის სუნი გცემთ იმ ჩანახატებიდან, რომლებიც 1916-1917 წლების ამბებს მოგვითხრობენ. რევოლუციის მომლოდინე მოსკოვი! თამარი პოვარსკაიას ქუჩაზე ცხოვრობს ერთ ჭერქვეშ ოლია ოკუჯავასთან და გალაკტიონ ტაბიძესთან. და განა შეეძლო სტუდენტთა გამოსვლების აქტიური მონაწილე არ ყოფილიყო ქალი, რომელსაც გული შესტკიოდა მშობელ ხალხზე, უყვარდა თავისი სამშობლო, და ასე ახლოს ისმენდა ახალგაზრდა გალაკტიონის [illegible]ბარე მოწოდებას — „დროშები ჩქარა!“ ერთ დღეს პროკლამაციებს საკუთარი მატრიკულიც გააყოლა თურმე, რამაც დიდი შეშფოთება გამოიწვია მის მეგობრებში.

აი, საგანგებო სურათი კონსპირაციული კრებისა, რომელსაც ქართული სიმღერა ნიღბავდა.

თამარი მოთვალთვალედ იდგა კარში, რათა საეჭვო პირის გამოჩენა ეცნობებინა ამხანაგებისათვის. უცებ ცხვირწინ ეტლი გაჩერდა, იქიდან ახოვანი კაცი გადმოვიდა და სახლისაკენ გაემართა. „მე ფერი დავკარგე, უცნობის შესაჩერებლად ვერაფერი მოვიფიქრე, ბოლოს ცხვარივით ავედევნე უკან“, — იგონებს თამარი.

ოთახში მყოფი იოსებ მჭედლიშვილი, ანდრო კალანდაძე და სხვები ტაშით შეხვდნენ უცნობს. „თქვენმა სიმღერამ მომიყვანა ამ სუფრასთან. მე ძალიან მიყვარს ქართული მელოდია და ქართველები. ერთხელ ბათუმელმა მეეტლემ მომღერლობა მირჩია, კარგი ხმა გაქვსო, და აი, როგორც ხედავთ, ახლა დიდი თეატრიდან ვბრუნდები“.

დაახლოებით ასეთი სიტყვა უთქვამს სახელგანთქმულ მომღერალს თედორ შალიაპინს, და რა დააძინებდა თამარს, რომ დღიურში არ აღენიშნა ეს ამაღელვებელი საღამო.

ბევრი რუსი მეგობარი ჰყავდა თამარ ნანეიშვილს მოსკოვში, მაგრამ მის გულს უფრო იმათთან შეხვედრა ახარებდა, ვინც მისი ქვეყნის ჭირსა და ლხინს იზიარებდა. ასეთი იყო ვლადიმერ მაიაკოვსკი. ერთხელ ტვერის ქუჩის შესახვევში, ერთ ბიბლიოთეკაში შევიდა გოგონა და საქართველოს ისტორია მოითხოვა. ბიბლიოთეკის უხიაგმა მოხელემ უარი უთხრა: ასეთი არც სახელმწიფოა და არც ისტორიაო. თამარი გაოცდა, კამათი და მტკიცება დაუწყო, მაგრამ ამაოდ. მაშინ მის ზურგს უკან უცებ მჭექარე ხმა გაისმა: „არის ასეთი ქვეყანა, ლამაზი ქვეყანა, რომელსაც ძალიან დიდი ისტორია აქვს.“

ეს მაღალი კაცი, რომელიც უცნობ ქართველ გოგონას გამოესარჩლა, თურმე ვლადიმერ მაიაკოვსკი იყო. ეს თამარმა მეორე დღეს შეიტყო, იმავე ბიბლიოთეკაში. „საოცარი ხასიათი მქონდა —სიხარული მატირებდა ხოლმე. ო, როგორ მინდოდა ისევ შევხვედროდი პოეტს, მადლობა მეთქვა ყველაფრისათვის, ცრემლებისათვის“. ამ შეხვედრამ ცოტა დაიგვიანა, მაგრამ მოხდა.

ექიმმა ნანეიშვილმა ტიფით დაავადებულ მამაკაცს, რომელიც საწოლზე ვერ ეტეოდა, სასთუმალი სკამებით დაუგრძელა. უცებ ქართული სიტყვები მოესმა —სიცხიანი ბოდავდა.

„სასწრაფოდ ამოვიკითხე ავადმყოფის ისტორია. „ვლადიმერ მაიაკოვსკი“. თვალს არ დავუჯერე, ნუთუ მე საჭირო გავხდი ასეთი დიდი ადამიანისათვის!“

ერთხელ ღარიბი სტუდენტების დასახმარებლად გამართულ სპექტაკლშიც მიუღია თამარს მონაწილეობა.

იდგმებოდა დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი". დარისპანს თამაშობდა უკვე მხცოვანი ლადო მესხიშვილი, კაროჟნას კი — თ. ნანეიშვილი.

პირველი სპექტაკლის შემდეგ მესხიშვილმა როლიდან გაანთავისუფლა თამარი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. რა საქმე ჰქონდა მოუქნელ და დაბნეულ კაროჟნასთან მუდამ ხალისიან, სიცოცხლით სავსე ქალიშვილს?

დადგა 1921 წელი. სწავლადამთავრებული თამარი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატის ინსტრუქტორია.

როგორ სჭირდებოდათ საბჭოთა საქართველოს მშრომელებს პროფესიონალი მკურნალები და აი, გამოჩნდნენ პირველი მერცხლები, გაშალეს „წითელი კარვები" საქართველოს მივარდნილ კუთხეებში.

1928 წლის პირველი აგვისტოს „ზარია ვოსტოკა" აცნობებს მკითხველებს, მეან-გინეკოლოგთა ექსპედიცია თამარ ნანეიშვილის ხელმძღვანელობით აჭარასა და სამხრეთ ოსეთში გაემართაო.

საცალფეხო ბილიკები, პირდაღებული ნაპრალები, პირქუში ღამეები და გადაუღებელი წვიმები, —ასე ხვდებოდა აჭარა, ხევსურეთი, სვანეთი და რაჭა ახალგაზრდა ექიმებს. მაგრამ უფრო დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა მათ ადამიანთა დახშული გონება, რომელიც მკითხავექიმბაშებისა და დამყაყებული ადათ-წესების ტყვე იყო.

ჭრაქის შუქი ძლივს ანათებს მშობიარეს. გვერდით ქათმები კრიახობენ, ძროხა იცოხნება,— ასეთ პირობებში მუშაობს ქერათმიანი მკურნალი. „ასეთი სამსახური არ განსხვავდება ექიმის სამუშაოსაგან ბრძოლის ველზე", — წერს 1928 წლის ივლისში „რაბოჩაია პრავდა". მალე შეიყვარეს მთიელებმა ექიმი, რომელსაც განწირულისათვის სიცოცხლე მოჰქონდა.

ერთმა თემისთავმა, როდესაც თამარ ნანეიშვილმა მუხლის ოპერაცია გაუკეთა, ძროხა მიართვა მას მკურნალობის საფასურად. არავითარმა მტკიცებამ — საბჭოთა ექიმები უსასყიდლოდ მუშაობენ და ავადმყოფის მორჩენა მათი ვალდებულებააო — არ გასჭრა. მაშინ ძროხის ნაცვლად თამარმა გაჩია სთხოვა, რომელიც მოხევეს თითზე ეკეთა.

ახლა ეს პატარა ფოლადის ნაჭერი ახსენებს თამარს იმ ბილიკებს, რომლებზეც ხანდახან ჯიხვები ჩაიმუხლებენ ხოლმე, აქაფებულ ხევებს, არწივებიც რომ თვალდახუჭული გადაუქროლებენ, იმ გზას, რომელიც მან გაიარა თბილისიდან მამისონის უღელტეხილამდე.

მალე სამოცდარვა წელი შეუსრულდება თამარს, მაგრამ კვლავინდებურად მზად არის იმავე სამუშაოს შესასრულებლად.

— სიცოცხლისათვის სამსახურში აბა ვინ დაიღლებაო, — ღიმილით ამბობს თამარ ნანეიშვილი.

ცირა ქიტიაშვილი



# შარლოტა ბრონტე

## ჩვენი კალენდარი

ქართველი საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი მე-19 საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი მწერალი ქალის— შარლოტა ბრონტეს სახელი; მისი ნაწარმოებები მკითხველის პატივისცემასა და ყურადღებას იმსახურებს.

მიმდინარე წელს შესრულდა 150 წელი ამ შესანიშნავი მწერლის დაბადებიდან.

შარლოტა ბრონტე მე-19 საუკუნის ინგლისელი რომანისტების იმ ბრწყინვალე პლეადას მიეკუთვნება, რომელთა შემოქმედებამ უდიდეს სოციალურ სიმახვილესა და აყვავებას ძლიერი სოციალური ძვრების პერიოდში მიაღწია. ეს იყო ინგლისში კლასობრივი დაძაბულობის წლები, რომელიც მსოფლიო ისტორიაში „ჩარტიზმად" იხსენიება. ეს იყო პირველი, ფართო გაქანების პროლეტარულ-რევოლუციური მოძრაობა, რომლის დროსაც ინგლისელმა მშრომელმა ხალხმა გაბედულად აიმაღლა ხმა თავისი ადამიანური უფლებების მოსაპოვებლად. ჩარტიზმი შესანიშნავად აისახა ინგლისელი მწერლების რეალისტურ-სოციალურ რომანებში. მათში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ყველა იმ საკითხმა, რაც მთელი სიმახვილითა და გაბედულობით წამოაყენა ჩარტისტულმა მოძრაობამ.

აი, ამ რომანისტთა რიცხვს ეკუთვნის შარლოტა ბრონტეც. კარლ მარქსი თავის ნაწარმოებებში ხელოვნების შესახებ შ. ბრონტეს სახელს ინგლისის ლიტერატურის კორიფეების — დიკენსისა და თეკერეის გვერდით იხსენიებდა და აღნიშნავდა, რომ: „მისმა რომანებმა სააშკარაოზე გამოუტანეს მთელ მსოფლიოს უფრო მეტი პოლიტიკური თუ სოციალური ჭეშმარიტება, ვიდრე ერთად აღებულმა ყველა პოლიტიკოსმა, პუბლიცისტმა და მორალისტმა".

თავის რეალისტურ რომანებში: „ჯეინ ეარი", „შერლი", „ვილეტი" და სხვ. შარლოტა ბრონტე გაბედულად ამხელს ბურჟუაზიული წყობილების სიმახინჯეს, აღწერს ქალთა უუფლებო მდგომარეობას. მაგრამ ბრონტეს შემოქმედებაში მხოლოდ ქალთა საკითხი არ არის დასმული; ქალთა დამონების წინააღმდეგ ბრძოლის თემა მის შემოქმედებაში ორგანულადაა დაკავშირებული უფრო ფართო თემასთან — სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლასთან. მის ნაწარმოებებში გაბედულად გაისმის პროტესტი საზოგადოებრივი უსამართლობის წინააღმდეგ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შ. ბრონტეს რომანი „ჯეინ ეარი". აქ მოთხრობილია ღარიბი გუვერნანტი ქალის ბედი, ქალისა, რომელიც იბრძვის თავისი ადამიანური უფლებებისა და ღირსებისათვის.

რომანის მთავარი გმირი — ჯეინი დაუდგრომელი, მებრძოლი სულის ადამიანია. მის ბუნებაში აშკარად ჩანს არსებული სინამდვილისადმი წინააღმდეგობის გაწევის უდიდესი სურვილი.

მაგრამ შ. ბრონტეს წვრილბურჟუაზიული შეზღუდულობა თავს იჩენს რომანის იდეურსა და მხატვრულ სახეში, რაც მის დამაჯერებლობასა და ძალას ამცირებს. ჯეინ ეარის პროტესტი და მისი უკმაყოფილება არსებული საზოგადოებრივი წყობილების მიმართ არასოდეს არ იზრდება ნამდვილ რევოლუციურობამდე. ერთადერთი გზა, რომელსაც მწერალი სთავაზობს თავის მკითხველებს და თავის გმირს — ეს არის ბრძოლა სულიერი სრულყოფისათვის და შინაგანი თავისუფლებისათვის. ოჯახური ბედნიერების იდეალური სამყარო, რომელიც ნაწარმოების გმირმა შეიქმნა თავისთვის, სრულიად თიშავს მას გარე სამყაროსგან.

მიუხედავად ამისა, რომანი მთელი მამხილებელი ძალით ჟღერს. მასში ძლიერი ფერებითაა ასახული ინგლისური ბურჟუაზიული საზოგადოების უარყოფითი მხარეები. ნაწარმოების მამხილებელი, კრიტიკული ძალა სწორედ ამ ბურჟუაზიული ტრადიციებისა და მახინჯი სახელმწიფოებრივი კანონების წინააღმდეგაა მიმართული, რომლებიც არღვევენ, ანადგურებენ ინგლისის მშრომელი ხალხის ნორმალურ, ადამიანურ ყოფას. ამდენად შ. ბრონტეს ნაწარმოებებს დღემდე არ დაუკარგავს თავისი იდეურ-მხატვრული ღირსება. შარლოტა ბრონტე თავისი შესანიშნავი შემოქმედებითი იარაღით დაუცხრომლად იბრძოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის წინააღმდეგ, სოციალური უფლებებისა და სამართლიანობისათვის. მართალია, იგი ვერ ირჩევს უკეთესი მომავლისაკენ მიმავალ სწორ გზას, მაგრამ მთელი მისი შემოქმედებითი პათოსი მაინც ამ გზის ძიება და ადამიანებისათვის ნათელი მომავლისაკენ ლტოლვაა.

ირინე გემაზაშვილი

# ეთერ მაზანაშვილი



კახეთის სოფელში გაზრდილი გოგონა პირველად მოხვდა თბილისში. გაოცებული უყურებდა ახმაურებულ ქუჩებს, მაღალ შენობებს, ხალხს... ქალაქმა მოხიბლა იგი. გადაწყვიტა თბილისში დარჩენილიყო.

ცამეტი წლის ეთერ მაზანაშვილი საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში მივიდა, სადაც ცხრა კლასის განათლება მიიღო და კერვა ისწავლა. სოფელში დაბრუნებას აპირებდა ეთერი, რომ 1929 წელს აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა ამუშავდა. ფაბრიკამ მრავალრიცხოვანი მუშა-ხელი მიიზიდა. ეთერმა გაიარა მქსოველის მოსამზადებელი სამთვიანი კურსები და საქსოვ დაზგასთან დადგა. პირველად ფაბრიკაში მთელი რიგი სამუშაოები პრიმიტიული წესით სრულდებოდა, მაგრამ ამას არ შეუშინებია მუშები. მათ თვითონ უხდებოდათ რუსეთიდან ჩამოტანილი საქსოვი დაზგების მოწესრიგება, ამუშავება და რემონტი.

ეთერი ელოდა იმ დღეს, როცა საქსოვ საამქროში ახალი დაზგები ჩამწკრივდებოდნენ, გაიზრდებოდა შრომის ნაყოფიერება, გაჩნდებოდნენ მოწინავე ადამიანები. მან კომკავშირული დამკვრელი ბრიგადა ჩამოაყალიბა, ორ დაზგაზე დაიწყო მუშაობა და სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღა.

მალე მოიხვეჭა ეთერ მაზანაშვილის ბრიგადამ მოწინავის სახელი. გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის იგი ოთხჯერ დააჯილდოვეს.

მოწინავე კომკავშირელი ეთერ მაზანაშვილი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და კომკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის ბიუროს წევრად აირჩიეს, მონაწილეობდა დამკვრელთა შეკრებების მუშაობაში, იყო პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის განთავისუფლებული მდივანი. შემდეგ ეთერი საქართველოს პროფესიულ კავშირებში საორგანიზაციო განყოფილების პასუხისმგებელ ინსტრუქტორად გადაიყვანეს.

გავიდა დრო, ფაბრიკის კოლექტივი ვერ შეელია ეთერს და ისევ ფაბრიკაში დააბრუნეს პარტიული კომიტეტის მდივნად. 1938 წლიდან ეთერი თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა, ვინ არ მოხიბლულა მისი უშუალობით, საქმიანი საუბრით! რამდენი გაჭირვებულისათვის აღმოუჩენია დახმარება, რამდენისთვის გაუუმჯობესებია საბინაო პირობები. ომის წლებში ბევრი ღამე გაუთენებია იმაზე ფიქრში, თუ როგორ დახმარებოდა ომში წასულთა ოჯახებს.

1943 წელს ეთერ მაზანაშვილი თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის დირექტორად დანიშნეს. გამოცოცხლდა წარმოება, გაიზარდა გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი. მალე ეთერი ბამბის ფაბრიკის დირექტორად გადაიყვანეს. ჩამორჩენილ ფაბრიკას დაეტყო კარგი ხელმძღვანელის ხელი: გადიდდა შრომის ნაყოფიერება, გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის მუშებმა პრემიები მიიღეს. ბამბის ფაბრიკიდან ეთერი № 1 ატელიეს დირექტორად გადაიყვანეს, სადაც 1964 წლამდე იმუშავა. იგი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო.

უკან რომ მოიხედა, შრომის დიდი გზა ჰქონდა გავლილი, უკვე შეიძლებოდა პენსიაზე გასულიყო, დაესვენა.

მისი ორი ქალიშვილი ახლა გულისტკივილით იგონებს: დედის სითბო და დედის ალერსი გვაკლდა, სანახავად გვენატრებოდა დედა, მას ჩვენთვის არ ეცალაო. ახლა მათი შვილებისათვის სცალია ეთერს — რაც შვილებს დააკლო, შვილიშვილებს უხდის.

**ნანული ბუკია**

ე. ბუჩაშვილი

# პაციენტი

ნამდვილი ამბავი

მხატვარი დ. კახი

ცნობილი მუსიკოსი, ვლადიმერ ივანეს ძე, რომლის შესახებაც მე ნარკვევის დაწერას ვაპირებდი, ვალსს უკრავდა. მისი გრძელი თითები რაღაც განსაკუთრებული სიმსუბუქითა და სიფაქიზით ეხებოდნენ კლავიშებს. ვისმენდი ამ თითქოს სრულიად უბრალო მელოდიას და თვალწინ მეხატებოდა შუა რუსეთის განუმეორებელი ფერებით შემკული პეიზაჟი: ტყის გამჭვირვალე ნაკადული და მისკენ დახრილი წვრილი არყისხე.

— იცით, როცა „ბერიოზკას" ვუკრავ, ყოველთვის, რაღაც ისეთი გრძნობა მეუფლება... — ვლადიმერ ივანეს ძეს დამნაშავესავით გაეღიმა და ხელები გაშალა.

— ალბათ, გაგონდებათ რამე? — შევეკითხე მე.

— დიახ, მართალი ხართ... მოგონებების ბრალია, — ვლადიმერ ივანეს ძემ პაპიროსი აიღო და წვერი ნელ-ნელა მოფშვნა.

* * *

ციმბირის ერთი დიდი ქალაქის ქუჩაში ფრთხილად მიდიოდა სანიტარული ავტობუსი. მას დაჭრილები მიჰყავდა.

ავტობუსმა თითქმის მთელი ქალაქი გადასერა, პრირეჩნაიას ქუჩაზე გავიდა და ეზოს სიღრმეში მდგარი შენობის წინ გაჩერდა. ეზოში ერთ წამში ყველაფერი ამოძრავდა. გამოცვივდნენ სანიტრები და ექთანები. დაჭრილთა საკაცეები ლაზარეთისაკენ გამწკრივდნენ.

ვესტიბულში მათ შემოეგება ლაზარეთის უფროსი — გაქათქათებულ ხალათში გამოწყობილი, ხანშიშესული და მსუქანი ფაინა არკადის ასული, რომელსაც გვერდით ჯოხზე დაყრდნობილი მაიორი ივანოვი ედგა.

— შესახვევისკენ... შესახვევისკენ... — იმეორებდა ფაინა არკადის ასული, რომელიც სწრაფად ათვალიერებდა ავადმყოფთა ისტორიებს.

ფაინამ ერთი საკაცე შეაჩერა. როცა სანიტრებმა საკაცე იატაკზე დადგეს, ფაინა არკადის ასულმა მაზარის კალთა გადასწია. დაჭრილი უგონოდ იყო.

— საოპერაციოში! სასწრაფოდ! გამოიძახეთ ნეიროქირურგი!

— თქვენ კი, მიხეილ მიხეილის ძევ — მიუბრუნდა იგი მოადგილეს, — დაუკავშირდით

პროფესორ ნარდოვს. სასწრაფო კონსილიუმია საჭირო.

როცა ექიმები საოპერაციოში შევიდნენ, საათის ისარი ღამის თერთმეტს უჩვენებდა, ხოლო, როცა გამოდიოდნენ, ღამის სამი საათი იყო. სანიტრებმა საკაცე ფრთხილად გამოაგორეს.

იმ სამახსოვრო ღამეს ლაზარეთში სახელდახელო ხუთწუთიანი შეკრება ფაინა არკადის ასულის შეკითხვით დაიწყო:

— როგორაა საქმე მეთერთმეტე პალატაში?

— გამოჯანმრთელების იმედი ძალიან მცირეა, — გაისმა პასუხი.

მაიორი ივანოვი მედიცინის მუშაკი არ იყო, მაგრამ, ვიდრე აქ, პოლიტდარგში მოადგილედ დანიშნავდნენ, მძიმედ დაჭრილმა, არა ერთი და ორი თვე დაჰყო ლაზარეთებში. მაიორი ხშირი მოწმე ყოფილა იმისა, რომ ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაციაც არ იძლეოდა სასურველ შედეგს, თუ მედიცინას არ ეხმარებოდა თვით ადამიანის მხურვალე რწმენა სიცოცხლისა, სურვილი იმისა, რაც არ უნდა მოხდეს, გადავრჩებიო. პოლიტმოადგილე ფიქრობდა, მეთერთმეტე პალატის ავადმყოფს სწორედ ეს რწმენა არ ყოფნისო, მაგრამ როგორ დავეხმარო, როგორ გავუღვიძო გამოჯანმრთელების წყურვილიო?

ხუთწუთიან შეკრებებზე კი ისევ გამუდმებით ისმოდა: ჭრილობები ნელა ხორცდება, ტემპერატურა მერყეობს, მადა ცუდი აქვს, და ყველაზე საშინელი ის არის, რომ ავადმყოფი ძალზე უხასიათოდააო.

ერთხელ ლაზარეთში მსახიობები მოვიდნენ. ისინი სასადილოში, დერეფნებსა და პალატებში გამოდიოდნენ. ისმოდა სიცილი, ტაში... უეცრად პოლიტმოადგილეს გონება როგორღაც გაუნათდა. უფროსის კაბინეტში შევიდა. როცა მაიორმა თავის მოსაზრება გაუზიარა, ფაინა არკადის ასულმა შიშით შეხედა:

— მიხეილ მიხეილის ძევ, სრულ ჭკუაზე ხართ? ადამიანი ასეთ მდგომარეობაშია, თქვენ კი... არა, არა. მაგაზე ფიქრიც არ შეიძლება.

— ფაინა არკადის ასულო! — მაიორის ხმაში მუდარა ისმოდა, — მოდით, ვცადოთ. თუ გნებავთ, მე ვიკისრებ მთელ პასუხისმგებლობას. შეიძლია დავწეროთ კიდეც...

— დაწეროთ? — საყვედურით შეხედა თავის მოადგილეს ფაინა არკადის ასულმა, — უფიქრდებით, რასაც ამბობთ? ჩვენ ხომ ორივენი კომუნისტები ვართ.

უფროსის კაბინეტიდან მაიორი ორმოცი წუთის შემდეგ გამოვიდა. მსახიობები უკვე წასასვლელად ემზადებოდნენ. მაიორმა განზე გაიხმო მათი ხელმძღვანელი და რაღაცის ახსნა დაუწყო. იგი მიუხვდა და თავი დაუქნია.

— რატომაც არა, ვცადოთ! ვალოდია, აქ მოდი! აი, ამხანაგო მაიორო, ეს ჩვენი ბაიანისტია, ვალოდია კრამოვი.

მაიორმა იმედის თვალით შეხედა ახალგაზრდას.

— მოხარული ვარ შენი გაცნობისა, ვალოდია, აიღე შენი ბაიანი და გამომყევი.

ისინი მეორე სართულზე ავიდნენ და გრძელ დერეფანს გაჰყვნენ.

— აქ არის, — თქვა მაიორმა და ვალოდიას მხარზე ხელი დაადო.

მაიორმა კარი გამოაღო და თანამგზავრი წინ გაუშვა. პატარა ოთახში, კედელთან, განმარტოებული საწოლი იდგა. ზეწრის ქვეშ გულაღმა იწვა ავადმყოფი, თითქმის ბავშვი. თეთრი დოლბანდისქუდიანი თავი ბალიშზე გადაეგდო. მიწისფერი სახის ნაკვთები გალეოდა. სიგამხდრისაგან დიდი, ნაცრისფერი თვალები ჩასცვენოდა.

— გამარჯობათ, — წაიჩურჩულა ვალოდიამ. მაიორი ჩუმად გამოვიდა და კარი მიიხურა.

— გინდათ, რამე დაგიკრა? — ჰკითხა ვალოდიამ.

საწოლზე მწოლიარემ ვალოდიას მხოლოდ შეხედა, მაგრამ არაფერი არ უთქვამს.

— მაშ, ეგრე გითხრა: „კიდევ მოდითო“? — ყოჩაღ, ვალოდია. შენ ვერც კი წარმოგიდგენია, რა ყოჩაღი ხარ!

მაიორმა ყმაწვილი თავისკენ უხერხულად მიიზიდა და აკოცა.

გამოთხოვებისას ვალოდიას უთხრა:

— მაშ, ხვალაც აუცილებლად მოდი. მხოლოდ იცოდე, ეგ ბიჭი კი არა, ქალიშვილია, შენი ტოლი. პარტიზანი მზვერავია. გმირობა ჩაიდინა და ახლა დიდ ჯილდოზეა წარდგენილი. მაგრამ ძალიან მძიმედ იყო დაჭრილი, თანაც შეიტყო, დედა ფაშისტებმა რომ ჩამოუხრჩვეს... ქალიშვილს ოლია ჰქვია. ოლია, — დაიხსომე!



სიბრალულით შეეკუმშა გული ვალოდიას. ძალა მოიკრიბა და ბაიანის ბუდიდან ამოღება დაიწყო. შემდეგ სკამზე დაჯდა და საბერველი გაჭიმა.

მაიორი ივანოვი დერეფანში მიმოდიოდა და როგორც კი ვალსის ხმას მოჰკრა ყური იცნო, — „ბერიოზკა“ იყო.

კარს იქიდან ვალსის ხმა თანდათან მკაფიოდ მოისმოდა. ფეხზე მოსიარულე დაჭრილები შეგროვდნენ. მაიორმა თითი მიიტანა ტუჩებთან და ანიშნა:

— ჩუმად!..

ბაიანის ხმა შეწყდა. კარი გაიღო და ვალოდია გამოჩნდა. მაიორი მაშინვე მივარდა:

— როგორ არის საქმე?

— იკით, ამხანაგო მაიორო, ბიჭს ვალსი, მგონი, მოეწონა, — წარმოთქვა ვალოდიამ, — გაიღიმა და მითხრა: „გმადლობთ. კიდევ მოდით“.

მეორე დღეს, როცა ფაინა არკადის ასულმა იკითხრა: როგორ არის საქმე მეთერთმეტე პალატაშიო, ექიმმა ორდინატორმა გაიღიმა...

* * *

— მერე? შემდეგ რა მოხდა? — ველარ მოვითმინე.

— შემდეგ?

მაგრამ ამ დროს კარზე დააკაკუნეს და ქალის ხმამ იკითხა:

— ხელს ხომ არ შეგიშლით?

— რასაკვირველია, არა, — უპასუხა ვლადიმერ ილიას ძემ და სავარძლიდან წამოდგა.

ოთახში საშუალო ტანის, ნაცრისფერთვალება, საოცრად მომხიბვლელი სახის ქალი შემოვიდა. შალის შავ ზედატანზე ოქროს ვარსკვლავი უბრწყინავდა.

— იცნობდეთ, ეს ოლიაა, ჩემი მეუღლე.

თარგმნა **ვერა კუპრაშვილმა**



100 53

ეთერ ჯღამაძე

# დედულეთში

აბა, განი, განი,
ესეც ჩვენი რგანი!
ჩამოვყევით მზეწვიებს
და დედულეთს ვეწვიეთ.
აქეთ — მწვანე ველები,
ვკრიფოთ საპოვნელები,
იქით — მთები მაღალი,
სოკო, თხილი, მაყვალი.
აჰა, გვეგებებიან
ბაბუა და ბებია.
ბებო უნდა ვახაროთ,
ბაბუ უნდა ვახაროთ,
არ დავტოვებთ მოუვლელს
ყანებს, ზვრებს და მაღაროს.
ბროლიამაც გაიგო
ჩვენი მიახლოება,
გვიცნეს ცხვრებმა, გოჭებმა,
წიწილებმა, ხბორებმა.
ვაჟა აზის სახედარს,
ნეტავ რეზო არ ხედავს?
ისმის სიცილ-ტკარცალი
და მიდამოს აყრუებს;
აზა ბლის კენწეროდან
მთელ ქვეყანას გაჰყურებს.
ჰერი, ჰერი, ჰერი,
ბებოც ჩვენთან მღერის.
დაუჩრდილავთ ვენახი,
აქ — ალუბლებს, იქ — თხილებს.
ვისაც ჩვენი ნახვა გსურთ,
დედულეთში გვიხილეთ.

საუბარი წიგნზე

# ზღაპარი, იგავი, არაკი...

ზღაპარი, იგავი, არაკი ყოველთვის იყო და დღესაც რჩება ბავშვებისათვის საინტერესო მოსასმენ თუ საკითხავ მასალად. ზღაპრებს ისმენდნენ და მოუთხრობდნენ ჩვენი მამა-პაპანი, ვისმენდით და ვუამბობდით ჩვენ, ისმენენ და ყვებიან ჩვენი შვილები, მოისმენენ და მოუთხრობენ ჩვენი შვილიშვილები, მათი შვილები და შვილთაშვილები...

საუკუნეთა მანძილზე საზოგადოების სხვადასხვა ფენაში ზეპირსიტყვიერების თხრობით ჟანრებს შორის ყველაზე გავრცელებული იყო ზღაპარი. ზღაპარზე ამბობდნენ — გონიერი მოთხრობაა და სიბრძნის მასწავლებელიაო; მართლაც, ვერ დაასახელებთ ვერც ერთ ზღაპარს, იგავსა და არაკს, მოგონილი და ტყუილი რომ არ იყოს, მაგრამ რაიმეს არ გვასწავლიდეს, რაიმეზე არ მიგვითითებდეს. ოღონდ, ზღაპარი პირდაპირ გვეუბნება სათქმელს, იგავი და არაკი კი — ალეგორიულად.

ზღაპარი განსაკუთრებით ბავშვებს უყვართ. ორი-სამი წლიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებს ზღაპრებს ხშირად მოუთხრობენ. რვა წლიდან თორმეტ წლამდე კი თვითონ კითხულობენ მოზარდები. ცამეტი წლის ბავშვებს თანდათანობით უნელდებათ ინტერესი ზღაპრებისადმი. იგავსა და არაკს კი ერთნაირი გულისყურით კითხულობენ უმცროსკლასელებიცა და უფროსკლასელებიც.

ქვეყნად ბევრი ზღაპარია. არსებობს ხალხური ზღაპარი და არსებობს ლიტერატურული ზღაპარიც.

ხალხურ ზღაპრებს მკვლევარები სამ ქვეჟანრად ყოფენ: პირველია ზღაპრები ცხოველებზე; მეორე — საკუთრივ ზღაპრები; მესამე — ანეგდოტები. საკუთრივ ზღაპრებს კი ასე ყოფენ: ჯადოსნური, ლეგენდისებური, ნოველისტური.

პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი ითვალისწინებს ქართული ეპოსის ბუნებას და ქართული ზღაპრის სახეებად თვლის: ცხოველთა ეპოსს, მისნურ-ჯადოსნურ ზღაპარს, საყოფიერო-ნოველისტურ ზღაპარს, საგმირო ზღაპარს, ლეგენდებსა და ანეგდოტებს.

ქართულ ზღაპრებში ჩანს ქართველი ხალხის ჩვევები, ხასიათი, ბუნება. ასევეა ყველა ხალხის ზღაპარში. და ყველა ზღაპარს საერთო იდეები აქვს: ყველა ხალხის ზღაპარში ერთმანეთს უპირისპირდება ბოროტი და კეთილი; კეთილი იმარჯვებს, ბოროტი მარცხდება; კეთილი გმირები იბრძვიან თავისუფლებისათვის, სამართლიანობისათვის, უკეთესი მერმისის მოპოვებისათვის; ვაჟკაცობა, შეუპოვრობა, სიმამაცე მუდამ დაფასებულია; ჰუმანიზმი უკეთილშობილესი გრძნობაა; აუცილებელია მეგობრისათვის თავდადება; საჭიროა, იყო გონიერი, ჰკვიანი, პირმართალი, პატიოსანი. და კიდევ რამდენი რამ აქვთ სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ზღაპრებს საერთო. ამიტომაა, რომ ფოლკლორისტები დღესაც დაობენ, სად და როდის წარმოიშვა ზღაპარი.

ჩვენთვის ამჟამად არა აქვს მნიშვნელობა სად და როდის წამოიშვა ზღაპარი. ჩვენ გვაინტერესებს, რომელი ზღაპარი როდის და როგორ მივაწოდოთ ბავშვებს.

ცნობილია, რომ მცირეწლოვან ბავშვებს უფრო მეტად იზიდავს ცხოველთა სამყარო. ამიტომ, რა თქმა უნდა, ჯობს, პატარებს წავუკითხოთ ზღაპრები ცხოველებზე. სკოლის ასაკში ცხოველთა ეპოსთან ერთად წავუკითხოთ და წავაკითხოთ საყოფიერო-ნოველისტური, ჯადოსნური და საგმირო ზღაპრები. ათი-თერთმეტი წლის ბავშვებს შევურჩიოთ და მივცეთ ისეთი ზღაპრები, რომლებიც შეაყვარებენ სამშობლოს, გაარჩევინებენ ერთმანეთისაგან მტერსა და მოყვარეს, უჩვენებენ მებრძოლსა და მშრომელ ადამიანს და, რაც მთავარია, შეაჩვევენ ოცნებას, ოცნებას უკეთეს მომავალზე. ზღაპრის მიზანია ბავშვს განუვითაროს გონება, აღუძრას კეთილი გრძნობები. ზღაპარმა უნდა აღზარდოს ოპტიმისტი, მახვილი ფანტაზიის, გონიერი, მეოცნებე ადამიანი.

საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი მაქსიმ გორკი მოითხოვდა ბავშვებისათვის რაც შეიძლება მეტი ზღაპარი მიეცათ წასაკითხად. იგი ამბობდა, ზღაპარი ფანტაზიას ზღაპრულად ავითარებსო. მართლაც, რუსულ საბავშვო ლიტერატურაში ზღაპარს საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობენ. ეწყობა საგანგებო დისკუსიები იმაზე, თუ როგორ გამოსცენ ხალხური ზღაპრები, როგორი უნდა იყოს ლიტერატურული ზღაპრები.

შეიქმნა ერთი სრულიად ახალი სახის ზღაპარი: ესაა მეცნიერული ზღაპარი. მეცნიერული ზღაპარი თანამედროვე ზღაპარია, ითვალისწინებს თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს და ბავშვებს ასწავლის, როგორ დაინახონ, გაიგონ ესა თუ ის საგანი, მოვლენა. ასეთ ზღაპარში ერთმანეთს ერწყმის ზღაპრული, ფანტასტიკური და ზუსტი, მეცნიერული.

რომელი ასაკის ბავშვიც უნდა იყოს, მცი-

რეწლოვანი, საშუალო თუ მოზრდილი, ვეცადოთ წავაკითხოთ მხოლოდ მათთვის საგანგებოდ დამუშავებული ზღაპრები. და აი, რატომ: ზღაპარმა საუკუნეებს გაუძლო. საუკუნეთა მანძილზე იცვლებოდა ადამიანთა ყოფა, იცვლებოდა ზღაპარიც. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში ჩაწერილი ზღაპარი თავისებურად ასახავს ეპოქას. იცვლებოდა ხანა, იცვლებოდა ზღაპრის მხატვრული ქსოვილიც. ყოველ დროს და ყოველ ქვეყანაში ბავშვებისათვის საგანგებოდ არჩევენ და ამუშავებენ ზღაპრებს.

ჩვენი საბავშვო ლიტერატურის მოამაგენიც ბავშვებისათვის საგანგებოდ ამუშავებდნენ ქართულ ხალხურ ზღაპრებს, თარგმნიდნენ რუსულსა და უცხოურს. იაკობ გოგებაშვილმა საგანგებოდ გადაამუშავა ქართული ხალხური ზღაპრები: „მოდი, ვნახოთ ვენახი“, „რწყილი და ჭიანჭველა“, „ჩიტი და მელია“, „ერთობის ძალა“. აკაკი წერეთელმა თავისებურად გადააკეთა „კურდღელი“, „ნაცარქექია“. ივანე როსტომაშვილმა დიდი ჯაფა გასწია და ბავშვებისათვის მისაწვდომად, საინტერესოდ გადაამუშავა „თხა და ვენახი“, „ბატები და პატარა და-ძმა“, „მეთევზის შვილი“.

მეცხრამეტე საუკუნეში ითარგმნა რუსული ზღაპრები: „თალგამი“, „მგელი და თხა“, „სულელი ივანუშკა“, ალ. პუშკინის „მებადური და ოქროს თევზი“, ლ. ტოლსტოის „სამი დათვი“, კ. უშინსკის „ბებერი ზამთარი“ და სხვა მრავალი. უცხოურიდან ითარგმნა ძმები გრიმების, ჰანს ქრისტიან ანდერსენის, შარლ პეროს და სხვათა ზღაპრები. საყმაწვილო ჟურნალებში სისტემატურად ქვეყნდებოდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რასაკვირველია, უმეტესად ზღაპრები, იგავები, არაკები.

ქართული საბავშვო ლიტერატურის მოამაგენი განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდნენ სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“. ჯერ იყო და, რაფიელ ერისთავმა ამოკრიბა „თხუთმეტი რჩეული იგავ-არაკი ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისაგან“ და გალექსა „იმ განზრახვით, რომ ყრმათა დაინერგონ კეთილი ზნეობა და გაშორდნენ ბოროტს მიდრეკილებასა“. შემდეგ, იაკობ გოგებაშვილმა რამდენიმე იგავი და არაკი შეიტანა სახელმძღვანელოებსა და საყმაწვილო კრებულებში. 1886 წელს, ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ მიხეილ ნასიძემ გამოსცა წიგნი: „სიბრძნე-სიცრუისაგან“ გამოკრებილი იგავ-არაკები ბავშვებისათვის“. აკაკი წერეთელმა ჟურნალ „ჯეჯილის“ რამდენიმე ნომერში გამოაქვეყნა სულხან-საბას გალექსილი იგავები. ლადო აღნიაშვილმა კრებულში — „წვრილი ამბები“ შეიტანა სულხან-საბას იგავების ვარიანტები. ნ. მთვარელიშვილმა ორჯერ გამოსცა წიგნი „არაკები სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუიდან“.

გასაგებია, რატომ მოეკიდნენ ასეთი გულისყურით სულხან-საბას იგავ-არაკებს. ქართველი ხალხის ამ სულიერ საუნჯეში საბავშვო მწერლობის მოამაგეებმა იპოვეს ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა მოზარდ თაობას. მათ „სიბრძნე-სიცრუიდან“ შეარჩიეს ისეთი იგავები და არაკები, რომლებშიც მწერალი ხოტბასასხამს და ადიდებს ნამდვილ მეგობარს, სამშობლოს მოყვარულ, პირმართალ, პატიოსანსა და გონიერ ადამიანებს. კიცხავს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს: ენატანიას, ბოროტს, ძუნწს, უგუნურს, ბრიყვს, ხარბს, სულელს, უქნარას, ცრუს, ლაზღანდარას, მკვეხარას, ბაქიას.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ქართველი ბავშვებისათვის დაიწერა, ითარგმნა და გამოქვეყნდა უამრავი ზღაპარი, იგავი და არაკი. ჩვენს ბიბლიოთეკებსა და წიგნის მაღაზიებში თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ ზღაპრები: ინდური და არაბული, თურქული და ჩინური, სომხური და აზერბაიჯანული, უკრაინული და ბელორუსული, ლიტვური და ესტონური, ამერიკული და იაპონური, ფრანგული და პოლონური, იტალიური და გერმანული. ასე რომ, შეგიძლიათ წაუკითხოთ და წააკითხოთ ბავშვებს მსოფლიოს ხალხთა საუკეთესო ზღაპრები.

რაც შეეხება, ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ბავშვებისათვის მიწოდებას, ამ საქმეს ჩვენში დიდი ამაგი დასდო პროფესორმა ქსენია სიხარულიძემ. მან საგანგებოდ შეარჩია საბავშვო ლექსები, იგავები, არაკები, ზღაპრები, გამოცანები და ცალკე წიგნად გამოსცა. ქართული ხალხური ზღაპრები მრავალგზის გამოიცა მცირეწლოვანთათვის (სწორედ, ყველაზე მეტად მათ სჭირდებათ ჩვენი მიშველება წიგნების შერჩევაში). ნორჩი მკითხველების სიყვარული დაიმსახურა ცნობილი მწერალი ქალბა-ნინო ნაკაშიძის მიერ ორჯერ გამოცემულმა ზღაპრების კრებულმა (1936 და 1938 წ. წ.). შეიქმნა სერია „იყო და არა იყო რა“. ამ სერიაში შერჩეულია ისეთი ზღაპრები, რომლებიც ბავშვებს გრძნობას გაუფაქიზებს, გონებას განუვითარებს და ოცნებას შეაჩვევს. წაუკითხეთ ხუთი, ექვსი, შვიდი წლის ბავშვებს ამ სერიის ზღაპრები: „წიქარა“, „ქოსატყუილა“, „ადიხანჯალა“, „ხუთკუნჭულა“, „სიზმარა“, „მუჭანახევარა“, „ნახევარქათამა“, „კონკია“, „კოჭლი მონადირის შვილი“, „ასფურცელა“, „უქნარა“, „ძუნწი და ალალმართალი“, „მელია და დათვი“, „მამალი და კატა“. ამ ზღაპრებში, უპირველეს ყოვლისა, პატარებს დააინტერესებთ ჰიპერბოლა. ჰიპერბოლა ცოტად თუ ბევრად ყველა ზღაპარს ახასიათებს, მაგრამ გაზვიადებაცაა და გაზვიადებაც. არსებობს რაღაც ზღვარი. ეს ზღვარი მეტნაკლებად იგრძნობა სხვადასხვა სახის ზღაპარში. მცირეწლოვანთათვის განკუთვნილ ზღაპრებში კი ჰიპერბოლა თითქმის ზენიტს აღწევს

პატარებს არ წაუკითხოთ და არ უამბოთ ისეთი ზღაპარი, რომელშიც ნაკლებია მოქმედება, დინამიურობა. მცირეწლოვანებს ართობთ და ახალისებთ ფაბულა, ამბავი, მოზრდილებს ამბავთან ერთად აინტერესებთ იდეა. ამიტომ ზღაპარი საშუალებას იძლევა ყოველი ასაკის ბავშვის განათლებისა და გათვითცნობიერებისათვის.

საკმაოდ საინტერესოა ლიტერატურული ზღაპარი. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია იცნობს რამდენიმე საუკეთესო მეზღაპრეს. ჯობს ლიტერატურულ ზღაპარზე ცალკე ვისაუბროთ.

ლილი გოგოხია

# დედა და პოეტი

ლილი ნუცუბიძე

მე ვიცი, ჩემში ორი ქალია:
ერთი ლექსებს წერს, მეორე — არა;
მე ვიცი, იმ ერთს რა უხარია,
მეორე გულში რა ნაღველს მალავს.
ერთი ადგება დილაადრიან,
მეორე ღამე სულ არ იძინებს,
ერთს რომ სახეზე განთიადი აქვს,
მეორის თვალზე ცრემლი ციმციმებს.
ერთი არასდროს არ კვნესის ბედზე,
მყუდრო ოჯახის ქსელში გაება;
მეორე მუდამ ვიღაცას ეძებს —
შუა ქალაქში ნიშნავს პაემანს.
ერთს კალთა მუდამ ლხენით ევსება
და ქვეყნის წილ მზეს თითონ იხვედრებს.
მეორე ამბობს: „რა გელექსება,
ბავშვი ტირის და აკვანს მიხედე!“
და ასე, მუდამ არის ჭიდილი,
უსასრულო და დაუსაბამო,
გაუფერულდა, როგორც მისჯილი
ყველა დილა და ყველა საღამო.

კმარა, გეყოფათ, ნულარ მაწამებთ,
ჩემი ცხოვრება დავას უნდება,
შვილებს ვაფიცებ, დედას ვაწყნარებ,
მერე პოეტი გამებუტება.

და წლები ასე უბრად მიდიან,
გზა და სახსნელი ვერსაით ვპოვე,
რომელი დავთმო, ვერ გამიგია,
ვის გავუჯავრდე, დედას თუ პოეტს?

დედა ხარ? შენს წინ ჩემს სულს ავანთებ,
მე შენს კერასთან ვსუნთქავ და ვხარობ;
პოეტს რა ვუყო ღამეგანათევს,
ჩემი ლექსის და სიცოცხლის წყაროს.

ამ ფიქრს უთქვენოდ არსად უვლია,
რა ვქნა, ვერც ერთი თუ ვერ გაგწირეთ,
მე ერთი ქალის ციცქნა გული მაქვს,
ორივეს ტოლად გაგინაწილეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უღვინოდ ლხინი ვინ ნახა!

## ჩემო საყვარელო რედაქცია!

ძალიან მიყვარს თქვენი ჟურნალი, მოუთმენლად ველი ყოველი ახალი ნომრის გამოჩენას. აღფრთოვანებული ვარ ყველა კარგი და გონიერი წერილით, დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ მიმდინარე წლის მარტის ნომერში დაბეჭდილი წერილისათვის — „ერთი ხაჭაპურის სუფრა“, რომელშიც კარგად და ჭკუის სასწავლებლად არის გაკრიტიკებული დღევანდელი მეშჩანური ჩვევები. მინდა გულახდილად მოგწეროთ ჩემი გულისტკივილი: გვქონდა სადა, მაგრამ მხიარული და სტუმრიანი ოჯახი. გავმართავდით ჩაის მურაბით და უბრალო ნამცხვრით. დავიშლებოდით კმაყოფილნი, მერე სხვა ოჯახში შევხვდებოდით ერთმანეთს და ა. შ.

სულმოუთქმელად ველოდით ახალი ბინის მიღებას, მაგრამ დღემდე თითქმის არც ერთ ნათესავს არ მოვგონებივართ; ალბათ, საჩუქრის მოტანას ერიდება ხალხი... თუმცა ერთი იის კონითაც შეიძლება ბინის მიღების მილოცვა, მეც, რასაკვირველია, მერიდება. ძვირფასი საჩუქარი რომ მომიტანონ. წელში უნდა გავწყდე, ვალი ავიღო და შემდეგ მათი მოსვლის დღე ვინანო. იყო ასეთი შემთხვევა: ჩემს მეზობელს მეგობრები მოუვიდნენ მოსალოცავად, მასპინძლები დაიმალნენ, თითქოს სახლში არ იყვნენ (ალბათ, არ ჰქონდათ ფართოდ გამასპინძლების საშუალება).

ძალიან მომწონს ნოდარ ყიფშიძის დარიგება. ნამდვილად ბევრ დაავადებას იწვევს არაზომიერი ჭამა-სმა.

პირადად მე, ქართველი დედა და დიასახლისი, დიდ მადლობას მოგახსენებთ ასეთი კარგი და ვონიერი რჩევისათვის.

**ლ. ბერიაშვილი,**
თბილისი.

ქართველი ხალხისათვის პური და ღვინო განუყრელი ცნებებია. ჩვენი ერის ცხოვრებაში ამ ორ პროდუქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. სწორედ ამიტომ იყო, მეფე-პოეტმა თეიმურაზ II ისინი ერთმანეთს რომ გაასაუბრა.

პურის გვერდით ღვინის დაყენება შემთხვევით არ მომხდარა. ქართველმა ხალხმა ძველთაგანვე შეიცნო ღვინის, როგორც საკვების, საუკეთესო თვისებები და მას დიდი რაოდენობით ხმარობდა.

სხვათა შორის, ეგზოტიკას დახარბებულმა უცხოელმა მოგზაურებმა ვერ გაიგეს ღვინის დანიშნულება საქართველოში. მათ ეს სასმელი ღრეობისა და დროს ტარების საშუალებად მიიჩნიეს და მსოფლიოს მოჰფინეს განსაცვიფრებელი ცნობები: არის ქვეყანა, სადაც ვეებერთელა ყანწებით საოცრად ბევრს სვამენ, არა მარტო მამაკაცები, წარმოიდგინეთ, ქალები და ბავშვებიც კი, თურმე ქართველების დათრობა შეუძლებელიაო, და ა. შ. თუ გავითვალისწინებთ, რომ სენსაციის მოყვარული მოგზაურები ხალხში სრულებით არ ტრიალებდნენ და ურთიერთობა ერთ მუჭა პრივილეგიურ წოდებასთან ჰქონდათ, რომელთათვის ღვინო მართლაც თავის შექცევისა და ღრეობის საშუალებად იყო გადაქცეული, მაშინ ადვილი გამოსაცნობია აღნიშნულ ცნობათა ნამდვილი მიზეზები.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი გლეხისათვის ღვინო საარსებო საშუალება იყო, რაც მრავალი ისტორიული საბუთით მტკიცდება. უღვინოდ მშრომელ კაცს მუშაობა უჭირდა, ამიტომ ღვინის ხარჯს შავ მუშებთან თუ ხელოსნებთან გარიგებისას უსათუოდ ითვალისწინებდნენ. მონასტერში მომუშავე ხელოსნებს ეძლეოდათ „პური და კრასაული* ღვინო“, ვინც განსაკუთრებით მძიმე სამუშაოს ასრულებდა, ის 4 კრასაულ ღვინოს ღებულობდა. გრიგოლ ბაკურიანის მიერ შედგენილი პეტრიწონის წესდების (1083 წ.) მიხედვით, მარხვის დროს ბერებს საჭმელს დღეში მხოლოდ ერთხელ აძლევდნენ, სამაგიეროდ ღვინის ულუფას უმატებდნენ. ძველად საქართველოში უღვინოდ მოახლე გოგოებსაც კი არ სტოვებდნენ. 1790 წლის ერთ საბუთში მრავალჯერ იხსენიება: „გოგოებს უყიდე ღვინო“. ერეკლე II დროინდელი სახელმწიფო ვალდებულებას ღებულობდა სარწყავი არხების გაყვანაზე მომუშავეთათვის ღვინო „მაძღრივ“ მიეცა. მორიგე ჯარის განჩინებაში ვკითხულობთ: იმ თავადსა და აზნაურს, რომელსაც მამული არა აქვს და მორიგეობის გაცდენის შემთხვევაში ჯარიმას ვერ გადაიხდის, ხელზე ბორკილს დაადებენ, საპატიმროში ერთი თვე ჩასვამენ და „ცარიელ პურსა, წყალსა და ღვინის მეტს“ არაფერს მისცემენ. აქ მეტად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ თვით პატიმრისათვისაც აუცილებლად მიუჩნევიათ ღვინის, როგორც ერთ-ერთი სასიცოცხლო პროდუქტის, მიცემა.

გასული საუკუნის ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალი მაგალითი მოიპოვება ფიზიკური მუშაობის დროს ღვინის სმის აუცილებლობის შესახებ. ქვემო ქართლში ჩასახლებული გერმანელი კოლონისტები იძულებული გამხდარან ადგილობრივი მუშებისათვის ულუფად ღვინო მიეცათ. 1872 წელს „დროების“ კორესპონდენტი გულისტკივილით აღნიშნავდა: „მუშა ხალხი, რომელიც მიდის სადმე სამუშევრად, ხშირად ცარიელი ბრუნდება და ამბობს: ძლიერ გაძნელდა ფულის შოვნაო, კახეთიც წამხდარაო; ადრე როგორ შეიძლებოდა ოჯახის პატრონს ბოთლით ღვინო არ მოეტანა მუშის თავსაო; ეხლა კი შემოულიათ აქაცა ხელმოჭერილი ცხოვრებაო“. მკვლევარი ფ. ბობილევი სამართლიანად შენიშნავს: „ღვინო იმერლისთვის ისეთივე მოსახმარს წარმოადგენს, როგორც სიმინდი. უღვინოდ ის სადილად არ დაჯდება, გზას არ გაუდგება; ამიტომ ყველაზე უკანასკნელ ღარიბსაც კი აქვს ვენახი, ამუშავებს მას... და შემოდგომით იმდენ ღვინოს ინახავს, რომ ახალმოსვლამდე ეყოს“.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როდესაც სოკოვანმა დაავადებებმა და ფილოქსერამ გურია-სამეგრელოში ვენახები გაახმო, უღვინოდ გაძლება შეჩვეულთათვის საძნელო შეიქმნა, იწყეს მოცვის და წყავის ღვინის გაკეთება, მაგრამ ყურძნის წვენს მაინც ვერაფერი ცვლიდა, მაშინ ხალხმა გამოსავალი „ადესის“ მოშენებაში ჰპოვა.

რაჭაში ღვინოს უმეტესად სანოვაგედ იყენებდნენ, მეტადრე მოხუცებს უიმისოდ არსებობა არ შეეძლოთ. კარგი მუშაკაცი იჯრაზე ღვინოს არ გამოილევდა, მაგრამ

---

*** კრასაული — საწყაო, სასმისადაც იხმარებოდა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველთვის ზომიერად სვამდა, მუშაობის დროს დათრობა დიდი სირცხვილი იყო. საერთოდ თრობას მშრომელი, გამრჯელი ადამიანი არც ეტანებოდა, ლოთობა ოდითგანვე უსაქმურთა ხვედრი იყო.

კარგ მეოჯახეს ღვინოები გამოყენების თვალსაზრისით ჰქონდა დახარისხებული. ზამთარში შუაღვინოს ხმარობდა, ხოლო გაზაფხულსა და ზაფხულზე, ყანაში, ვენახსა და ტყეში მუშაობის დროს — ძველ, „თავ ღვინოს“ არჩევდა, „მეტი ყუათიანია და კაცს გულს გოუმაგრებს, კლავში ძალას მისცემსო“.

აღსანიშნავია ძველი ღვინის სამკურნალო დანიშნულებით გამოყენება. ხალხის რწმენით, ძველი ღვინო წამალია და მისი ზომიერად ხმარება მრავალ ავადმყოფობას კურნავს, სახელდობრ, სისხლნაკლულობას, სისუსტეს, უმადობას და სხვ.

ძველ ღვინოს ასმევდნენ მეძუძურ ქალებს და განსაზღვრული დოზით ჩვილ ბავშვებსაც კი. ვისაც შეძლება ჰქონდა, ახალშობილს ღვინოში გაბანდა; ხოლო ზოგიერთ ოჯახში ძუძუმწოვარა ბავშვის დასაბან წყალს დღესაც შავი ღვინით შეფერავენ ხოლმე. სხვათაშორის, სამეგრელოში ღვინით ბავშვების განბანის შესახებ ცნობები იტალიელ მისიონერებსაც მოეპოვებათ.

ულვინოდ წარმოუდგენელი იყო რიტუალური ჩვეულებანი და სახალხო დღესასწაულები. ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ღვინო უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა.

ქართული სუფრა თავისი კოლორიტით და ღრმა შინაარსით მსოფლიოში უნიკალურია. მე-19 საუკუნის შუახანებამდე სვანეთში სახალხო სასამართლო სუფრაზე წარმოებდა. თვით ცნება „მეგობრობა“ სუფრასთან არის დაკავშირებული. ოჯახში პურ-მარილის მიღება, რომელიც ღვინის მადლით იყო ნაკურთხი, დაახლოებისა და ურთიერთპატივისცემის სიმბოლოდ იქცეოდა.

ქართული სუფრის წესები საგანგებო შესწავლას საჭიროებს. ეს მით უფრო გადაუდებელი საქმეა, რომ ზოგიერთი დღესაც კი ჩვენი ეროვნული სუფრის შინაარსს ღვინის უზომო სმაში ხედავს. ეს მცდარი შეხედულება ჯერ კიდევ ადრინდელი ხანის მოგზაურებმა გაავრცელეს. საქართველოში ღვინის სმა მართლაც იცოდნენ, იგი ერთგვარი სპორტული შეჯიბრების ხასიათსაც ატარებდა, მაგრამ არა ყველასათვის, არამედ მსურველთათვის. სუფრაზე დაძალება წესად არ იყო მიღებული, ვისაც სმა არ შეეძლო ან არ სურდა, წინასწარ განაცხადებდა, მას კამათს არავინ დაუწყებდა, ოღონდ ბოლოს არ უნდა გამოეღო ხელი და მობახუსეთა ასპარეზი დროულად უნდა დაეტოვებინა.

ქართული საზოგადოებრივი აზრი, ჯერ კიდევ ადრეულ საშუალო საუკუნეებში, ლოთობას სასტიკ ბრძოლას უცხადებდა. ლოთის სახელი ისევე სამარცხვინო იყო, როგორც ქურდისა. ტყუილად კი არ ათქმევინებს ხალხი ვაზს:

„ვინც ჩემი წყარო მეტი სვა, ჩემსავით დაიბორდაო“. ხალხის აზრით სმის დროს ზომიერების დაცვა აუცილებელია:

„გულისა საგრილობლადა
ღვინის სმას არვინ დაგიშლის,
ცოტა რამ მოჭარბებული
ჭკუას თავიდან შაგიშლის,
მოყვარეს მტრად გადაგიქცევს,
ღავიდარაბას აგიშლის“.

აღსანიშნავია ნ. შარაბიძის მიერ რაჭაში ჩაწერილი ერთი ხალხური ლექსი:

„ულვინოდ ლხინი ვინ ნახა,
ვინ გადიხადა ძეობა?
დავლიე იგი ზომაზე,
მომცა ძალა და მხნეობა,

გულს ჭირი გადამეყარა,
ენას მიეცა მზეობა,
ლოთობა, გზაში ბარბაცი
არ არის ჩვენი ზნეობა“.

ამგვარად, საქართველოში ღვინო უმეტესად გამოიყენებოდა, როგორც საკვები პროდუქტი, იგი აგრეთვე იყო სამკურნალო, სარიტუალო, სალხინო და ესთეტიკური ტკბობის საშუალება.

ლ ფრუიძე

# ფრანგული იუმორი

## კარგი პასუხი

ერთმა ტურისტმა გადაწყვიტა პარიზი ტაქსით შემოევლო. მან მძღოლი პანთეონთან გააჩერა და ჰკითხა:

— რამდენ ხანში აშენდა ეს შენობა?

— ექვს წელიწადში, — უპასუხა მძღოლმა.

— ჩვენში კი ეს სამ წელიწადში აშენდებოდა.

ტიულრის სასახლესთან ტურისტმა ისევ იკითხა:

— ეს კი რამდენ ხანში აშენდა?

— ხუთ წელიწადში, — მიუგო მძღოლმა.

— ჩვენში ეს ორ წელიწადში აშენდებოდა, — გამარჯვებული პოზით წარმოთქვა ტურისტმა.

გაბრაზებულმა მძღოლმა შურის საძიებლად მანქანა ეიფელის კოშკისაკენ გააქროლა.

— გააჩერეთ, — შეჰყვირა ტურისტმა, — რა არის ეს ცამდე აზიდული კოშკი?

— არ ვიცი, — გულგრილად მიუგო მძღოლმა. — მე გუშინ საღამოს გამოვიარე და აქ არაფერიც არ ყოფილა!

## გიცანით!

საოპერაციო მაგიდაზე მწოლიარე ავადმყოფმა, როგორც კი მისკენ მიმავალი პირბადეაკრული ქირურგი დაინახა, დაიყვირა:

— ბატონო ექიმო, თქვენ შეგიძლიათ მოიხსნათ ნიღაბი, სულერთია, მაინც გიცანით...

## დალუპული შვილი

მ ა მ ა — ცხოვრებაში, შვილო, მთავარია აკეთო შენი საქმე, დანარჩენს კი ნურაფერს მიაქცევ ყურადღებას!

ბ ა ვ შ ვ ი — სწორედ ასე ვიქცევი, მამიკო.

მ ა მ ა — ყოჩაღ, შვილო, მართლა?

ბ ა ვ შ ვ ი — აბა რა! დღეს, მაგალითად, შევასრულე საკლასო დავალება და ორიანი დამიწერეს, ჰოდა, სრულიადაც არ მიმიქცევია ამისთვის ყურადღება!

## რა არის ტრადიცია?

პიერო ყურადღებით ისმენდა მამის ლაპარაკს თანამედროვე ჩვეულებაზე.

— არავითარი ტრადიცია აღარ არსებობს, — ბრაზობს მამა, — ყველაფერი გაქრა.

— მამა, რა არის ტრადიცია? — იკითხა პიერომ.

— ტრადიცია არის ჩვევა, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის, — აუხსნა მამამ.

— ესე იგი, ჩემი შარვალიც ტრადიციაა? — იკითხა პიერომ.

## ახალგაზრდა გლეხი პარიზში

— პარიზის სასტუმროს ოთახში ხუთას ფრანკს ვიხდიდი, — უამბობდა ახალგაზრდა გლეხი მამას.

— ხუთას ფრანკს? — გაიკვირვა მამამ, — ეს ძალიან ძვირია! მაგრამ არაფერია. სამაგიეროდ. ალბათ, ბევრი საინტერესო რამ ნახე პარიზში.

— არაფერიც არ მინახავს, — შეჰყვირა ახალგაზრდამ. — როგორ შემეძლო ოთახში ხუთასი ფრანკი გადამეხადა და მთელი დღეობით ცარიელი დამეტოვებინა?!

ფრანგულიდან თარგმნა
ნელი ბასიშვილმა



# ღლონტის ხაჭაპური



87 წლის სიმონ ღლონტმა მთელი ცხოვრება სამზარეულოში გაატარა. ეს ცხოვრება მოახმარა ადამიანების სამსახურს, რაც მისთვის ძალიან სახალისო იყო, რადგანაც სხვებისთვის მოჰქონდა სიხარული. ეს შრომა არ იყო მზარეულის თავში ჩაბეჭდილი რეცეპტების უბრალო გამოყენება. იგი ქმნიდა ახალ რეცეპტებს, იგონებდა კერძების დამზადების ახალ მეთოდებს, აკეთებდა სრულიად უცნობ, ჯერ კულინარულ ლიტერატურაში არარსებულ კერძებს. ეს იყო ნამდვილი, დიდი გემოვნებით აღსავსე გამომგონებლობა. ამ შემოქმედმა კულინარული მოღვაწეობა ხელოვნების სიმაღლემდე აიყვანა.

ოზურგეთი. სერგო მოისწრაფიშვილის საკონდიტრო. აქ პურისა და ნამცხვრის ცხობას სწავლობს აკეთიდან ჩამოსული ბიჭი სიმონი. იგი 12 წლისაა, ხელი კი კარგად ამუშავებს და ამზადებს ცომს. მოისწრაფიშვილის საკონდიტრო მას პირველ ცოდნას აძლევს კულინარიაში. დაოსტატება ბათუმში გრძელდება. ფილიპე ჟორჟიკაშვილის საკონდიტროში 8 თვე შეგირდად მუშაობს. მერე სასტუმრო „ფრანციაში" იწყებს მუშაობას, სადაც ნამდვილ მზარეულობას სწავლობს. ცოტაოდენი პრაქტიკის შემდეგ იალტაშია, სასტუმრო „როსიაში", მზარეულის თანაშემწედ. გურული ბიჭი მზარეულის მარჯვენა ხელი შეიქნა. იალტაში ჩასული არისტოკრატია კმაყოფილი იყო მაღალგემოვნებიანი მზარეულით. ამიტომაც, როცა მსოფლიოს ირგვლივ სამოგზაუროდ გაემგზავრა ექსპედიცია, სიმონი მზარეულად წაიყვანეს.

რასაც ნახულობდა, ცდილობდა სასარგებლოდ გამოეყენებინა, ახლოს გაცნობოდა ქვეყნებს, ხალხის კულტურას, ზნე-ჩვეულებებს. როგორც მზარეული, ახერხებდა შეესწავლა სხვადასხვა ხალხის კერძების დამზადების საიდუმლოება, გაესინჯა სანელებლები, კერძების გემო. 6 თვის მოგზაურობამ ბევრი მისცა 27 წლის მზარეულს, მაგრამ მანაც გააცნო უცხოეთს თავისი შემოქმედება.

ეს იყო პარიზში. ქალაქის დათვალიერებისას რუსეთიდან ჩამოსულებმა შენიშნეს დიდი აფიშა, რომელიც იუწყებოდა პარიზელ კულინართა კონკურსის შესახებ.

— არიქა, სიმონ, შეგიძლია შენც სცადო ბედი, — უთხრეს თანამგზავრებმა.

სიმონს ჭკუაში დაუჯდა ეს ხუმრობით თუ მართლა ნათქვამი. მეორე დღეს ცნობისმოყვარეობამ კონკურსის ადგილას მიიყვანა იგი. ერთხანს უყურა, როგორ ამზადებდნენ მზარეულები კერძებს, მერე გაეღვიძა ფანტაზია, ერთ მზარეულს ბლინის ცომი სთხოვა, მეორეს შვეიცარული ყველი გამოართვა, დაჭრა, ცომში ამოავლო და ტაფაზე აშიშხინებულ ერბოში ჩააგდო. გამოვიდა ხაჭაპური, რომლის მსგავსი არც სიმონს გაესინჯა ოდესმე და არც ფრანგებს. ხაჭაპურს კონკურსის მონაწილეებმა „ღლონტის ხაჭაპური" უწოდეს და დიდად მოიწონეს. ქებით გათამამებული სიმონი შეუდგა ტორტის მზადებას, რომელსაც „ქათმის ბუდე" დაარქვა. ტორტს ირგვლივ ციტრუსის წვენით ამოვსებული კვერცხები შემოუწყო, ზემოდან ქათამი დაახატა და ორიგინალური გაფორმებით კონკურსის ჟიურის წევრები განაცვიფრა. სამოგზაუროდ ჩასულმა სიმონმა შემთხვევით მიიღო მონაწილეობა პარიზელ კულინართა კონკურსში და გასაოცარი ის იყო, რომ პრიზი მან დაისაკუთრა.

ნიუ-იორკში ინგლისელთა კლუბის წევრები აღტაცებაში მოიყვანა სიმონის დამზადებულმა ტაბაკამ და ბაჟემ.

ხელგამაგრებული და შემოქმედებითი აზრებით სავსე დაბრუნდა იალტაში სიმონი. მისი გასაოცარი გემოვნების ამბავი სწრაფად გახმაურდა. ამიტომაც, როცა გაგრაში მყოფ დანიელ პრინცს სტუმრები ეწვივნენ, მათ გასამასპინძლებლად სიმონ ღლონტი მიიწვიეს.

დანიელთათვის სუფრა რომ გაშალა, სიმონი გაგრის ნავსადგურში გავიდა. აქ ნახა მან გემის მტვირთავები, გამურული, ნაშიმშილარი სახეებით და ინატრა ამ ადამიანებისათვის ეშრომა, მათთვის მოეტანა სიამოვნება, მიენიჭებინა ადამიანური კმაყოფილება.

ეს დღეც დადგა. ის იდგა მუშათა სასადილოების, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების სამზარეულოში, იგონებდა, აკეთებდა იმ ხალხისათვის, რომელიც თვით ჰქმნიდა დოვლათს.

მას ახლა სურს, რაც იცის და უკეთებია, ქაღალდზე გადაიტანოს, ეს იქნება საშვილიშვილო საქმე. ქართულ კულინარულ ლიტერატურას ახალი წიგნი შეემატება სიმონ ღლონტის ავტორობით. ამ წიგნში, ალბათ, ღლონტის ხაჭაპურიც იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გთავაზობთ სიმონ ღლონტის რეცეპტებს

### წიწილი ქართულად

ერთ ჭიქა მოხარშულ ახალ ტყემალს შევურიოთ ორი კბილი დანაყილი ნიორი, ქინძი, მწვანე წიწაკა, მარილი (გემოვნებით) და მასში ჩავაწყოთ 8 ნაწილად დაჭრილი წიწილი. ვადუღოთ ნელ ცეცხლზე გამზადებამდე.

### წიწილის ტაბაკა

წიწილი სიგრძეზე უნდა ჩავჭრათ, გადავშალოთ და გარშემო წავუსვათ ერთმანეთში შერეული ორი კბილი დანაყილი ნიორი, მწვანე წიწაკა, მარილი. დავდოთ ცხელ ტაფაზე 50 გრ ერბო, ზედ მოვათავსოთ წიწილი, დავახუროთ ხუფი და ხუფს დავადოთ სიმძიმე. შევწვათ ორივე მხრიდან.



### თბილისური ჩახოხბილი

50 გრ ერბოში მოვხრაკოთ 8 ნაწილად დაჭრილი წიწილი და 300 გრ თხლად დაჭრილ ხახვი. დავნაყოთ 2 კბილი ნიორი, გემოვნებით — ქინძი, უცხო სუნელი, მწვანე წიწაკა, მარილი. ყველაფერ ამაში შევურიოთ 100 გრ არაყანი, დავასხათ მოხრაკულ წიწილს (ან ვარიას) და წამოვადუღოთ.

### წიწილი პოლონურად

მოხარშულ წიწილს მოვაყაროთ მარილი და დავჭრათ 6 ნაწილად. ცალკე ავთქვიფოთ ერთი კვერცხი. წიწილის ნაჭრები ამოვავლოთ ფქვილში, შემდეგ გათქვეფილ კვერცხში და ბოლოს ორცხობილაში. შევწვათ 50 გრ ერბოში.

გარნირად მოვხარშოთ 1 კგ ახალი კარტოფილი. მოვაყაროთ მარილი, წვრილად დაჭრილი კამა და მოვასხათ 100 გრ არაყანი მაგიდაზე ერთად მივიტანოთ.



## ბადრიჯნის ბეფსტროგანი

1 კგ ბადრიჯანი გავთალოთ, დავჭრათ წვრილ, ოთხკუთხა ნაწილებად, დავაყაროთ 1 ჩაის კოვზი მარილი და დავტოვოთ ნახევარი საათით. შემდეგ დავწუროთ.

200 გრ წვრილად დაჭრილი ხახვი და ბადრიჯანი მოვშუშოთ 50 გრ ერბოში, დავასხათ 100 გრ არაჟანი და 100 გრ მაწონი, შევურიოთ დანაყილი ნიორი, ქინძი, შავი პილპილი, კამა, უცხო სუნელი და ერთხელ წამოვადუღოთ.

## ბადრიჯანი არაჟნით

$^1/_2$ კგ ბადრიჯანი გავთალოთ, დავჭრათ ბრტყლად სიგანეზე, შევწვათ ზეთში ან ერბოში. შეწვის დროს მოვაყაროთ მარილი.

ცალკე 100 გრ არაჟანს შევურიოთ დანაყილი ნიორი, ქინძი, მარილი, უცხო სუნელი, მწვანე წიწაკა და წამოვადუღოთ. გავაციოთ და მოვასხათ თეფშზე დალაგებულ შემწვარ ბადრიჯნებს.

## ბადრიჯანი ძმრით

1/2 კგ ბადრიჯანი დავჭრათ ბრტყლად სიგანეზე. შევწვათ ზეთში ან ერბოში.

ცალკე დავნაყოთ ორი-სამი კბილი ნიორი, მარილი და წიწაკა, შევურიოთ 2 სუფრის კოვზი ძმარი და შემწვარ ბადრიჯნებს წავუსვათ ორივე მხრიდან.

## ლობიო არაჟნით

1 კგ მწვანე ლობიო შუაში ჩავჭრათ სიგრძეზე და ჩავყაროთ ორ ლიტრ მდუღარე წყალში. პირველ წამოდუღებისთანავე შევურიოთ 1/2 ჩაის კოვზი საჭმლის სოდა. მოხარშული ლობიო დავყაროთ საწურზე.

დავჭრათ 200 გრ ხახვი, შევწვათ 50 გრ ერბოში. გამზადებულ ხახვს დავაყაროთ მოხარშული ლობიო, დავასხათ 100 გრ არაჟანი, შევურიოთ დანაყილი ნიორი, წიწაკა, უცხო სუნელი, ქინძი, მარილი და წამოვადუღოთ.

## ბატკნის ხორცი სომხურად

ღრმა ტაფაში ჩავაწყოთ ნახევარი კონა დაუჭრელი ტარხუნა, დანაყილი ნიორი, ქინძი, მწვანე წიწაკა. ზევიდან დავაწყოთ 6 ნაწილად დაჭრილი 1 კგ ბატკნის ხორცი, მოვასხათ 100 გრ არაჟანი და შევწვათ თავის ცხიმში.

გარნირი: მარილწყალში მოვხარშოთ 1/2 კგ ან 400 გრ ბრინჯი. მოხარშულ ბრინჯს შევურიოთ წვრილად დაჭრილი ნახევარი კონა ტარხუნა, ცოტა შავი პილპილი და მოვშუშოთ 100 გრ კარაქში.

## ტაფამწვარი

4 კვერცხი კარგად ავთქვიფოთ. ცალკე, ერთ ჭიქა რძეში გავხსნათ ერთი ჩაის კოვზი ფქვილი. მასში შევურიოთ ერთი კბილი დანაყილი ნიორი, კამა, ოხრახუში, შავი პილპილი და მარილი გემოვნების მიხედვით. ეს ყველაფერი ავთქვიფოთ კვერცხთან ერთად და დავასხათ ცხელ ტაფაზე, რომელზეც წინასწარ დავდებთ 30 გრ კარაქს.

## დატენილი კვერცხი

მაგრად მოხარშული 5 კვერცხი ნაჭუჭიანად ფრთხილად გავჭრათ სიგრძეზე ორ ნაწილად. მთლიანად ამოვაცალოთ მოხარშული ცილა, გული და წვრილად დავკეპოთ.

1. დავნაყოთ 50 გრ ნიგოზი, შევურიოთ 1 კბილი დანაყილი ნიორი, ქინძი, კამა, მწვანე წიწაკა, მარილი. დავაყაროთ დაკეპილ კვერცხს, კარგად ავურიოთ და ჩავაწყოთ კვერცხის ნაჭუჭებში. ზევიდან მოვასხათ ბროწეულის წვენი ან მოვაყაროთ ბროწეულის მარცვლები.

2. ტაფაზე 50 გრ ერბოში შევწვათ წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი, კამა, ოხრახუში, დაჭრილი მოხარშული კვერცხები, წვრილად დაჭრილი მოხარშული საქონლის ხორცი. გემოვნების მიხედვით დავუმატოთ მარილი და შავი პილპილი. გამზადებული სატენი ჩავტენოთ კვერცხის ნაჭუჭში, დავაწყოთ კვლავ ტაფაზე გადაჭრილი პირით — ზევით. მოვაყაროთ სახეხზე გახეხილი ქართული ან ჰოლანდიური ყველი და შევდგათ 10-15 წუთით ცხელ ღუმელში.

# ქართული ჩაი

„საქართველოს თაიგული" და „ექსტრა" სასიამოვნო სურნელებით და საუცხოო გემოთი ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში. მან სახელი გაითქვა საზღვარგარეთაც. შანხაისა და ლონდონის სავაჭრო ფირმებმა მაღალი შეფასება მისცეს ჩვენს ჩაის. ის დიდი პოპულარობით სარგებლობდა 1958 წელს ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე. ხოლო 1964 წელს პარიზში, საბჭოთა საქონლის გამოფენა-გაყიდვაზე, ფრანგები აღტაცებით ყიდულობდნენ ქართულ ჩაის.

გასულ წელს თბილისის ჩაის საწონმა ფაბრიკამ 1800 ტონაზე მეტი ჩაი გაუგზავნა პოლონეთს, რუმინეთს, ჩეხოსლოვაკიას, ბულგარეთს, უნგრეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, დანიას.

ტრადიციულად, გაზაფხულის პირველ თვეს, მარტში იმართება ჩაის დღესასწაული. წელს ეს ზეიმი განსაკუთრებული იყო. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ფართოდ აღნიშნეს ჩაის დღე.

ყვავილებითა და მხატვრული პანოებით იყო შემკული ჩვენი დედაქალაქის კაფეები და რესტორნები. ამ დღეს ყველაზე ხალხმრავალი იყო რუსთაველის პროსპექტზე მდებარე სპეციალიზებული კაფე „ქართული ჩაი", სადაც სურნელოვანი ქართული ჩაით უმასპინძლდებოდნენ მომხმარებლებს საჩაიეს გამგე გულნარა თაბუნიძე, მიმტანები ეთერ ტეხაშვილი და როზა ნასიროვა, გამყიდველები ანიკო მელიქიძე, გულნარა ცანოევა და სხვები.

ამ დღეს გაიხსნა თბილისში ახალი მაღაზია „ქართული ჩაი". აქ იყიდება ყოველნაირი



და ყველა ხარისხის ჩაი; იყიდება მისი შესანახი ჭურჭელი და ჩაის სერვიზი. აქვე შეუძლია მომხმარებელს ჩაის დეგუსტაცია.

ჩაი სასარგებლო სასმელია. მის შემადგენლობაში შედის კოფეინი. ცნობილია, რომ კოფეინი ხელს უწყობს ადამიანის ნერვული სისტემის გამოცოცხლებას, გონებრივ სიფხიზლეს.

ჩაის ფოთოლშია უძვირფასესი ნივთიერებები: ალკალოიდები, ტანინი, ეთეროვანი ზეთები.

ჩაის ფოთოლში აღმოჩნდა სხვადასხვა სახის ვიტამინები და ახლა ის ვიტამინების შემცველობით ყველა საკვებ პროდუქტზე მაღლა დადგა.

ჩაის ფოთოლში C ვიტამინი თითქმის იმავე რაოდენობითაა, რამდენიც ასკილის მარცვლებშია. C ვიტამინი ძალას აძლევს ორგანიზმს, ხელს უწყობს მას ინფექციური და სხვა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩაის ფოთოლი შეიცავს PP ვიტამინს, ეს კი სკლეროზის საწინააღმდეგო ვიტამინია.

ახლა კი გაგაცნობთ ჩაის შენახვისა და დაყენების წესებს.

ხმელი ჩაი თავდახურულ საჩაიე ჭურჭელში შეინახეთ, რომ თავისი სურნელება შეინარჩუნოს. კარგია შუშის, ფაიფურის ან თუნუქის ხუფიანი ქილები. ჭურჭელს ძირს ამოუფინეთ გასანთლული ქაღალდი, რომ ჩაი დაცული იყოს სინესტისა და ჰაერისაგან.

**ჩაის მომზადება.** 1. პატარა ჩაიდანს მდუღარე წყალი გამოავლეთ და მერე შიგ ჩაყარეთ ხმელი ჩაი, დაასხით ზედ მდუღარე წყა-

ლი ჩაიდნის ნახევრამდე და დადგით დიდ ჩაიდანზე ან ზედ გადააფარეთ დაკეცილი ჩაის ტილო. რამდენიმე წუთის შემდეგ კიდევ დაუმატეთ მდუღარე წყალი. გააჩერეთ ცოტა ხანს და მერე სპეციალური საწურიდან დაასხით ჭიქებში. დოზირება დაიცავით გემოვნების მიხედვით.

2. პატარა ჩაიდანში ხმელი ჩაი ჩაყარეთ. დაასხით ზედ 2-3 ჩაის კოვზი ცივი წყალი. გააჩერეთ 5 წუთი. მერე დაასხით მდუღარე წყალი და დადგით ცეცხლზე, ოღონდ არ აადუღოთ. ქაფს რომ მოიდებს, ადუღებამდე გადმოიღეთ და ცოტა ხანს გააჩერეთ. მერე სპეციალური საწურიდან ჭიქებში დაასხით.

ჩაის ხარშვა დუღილის ტემპერატურაზე არაა რეკომენდებული, რადგანაც დადუღებით არომატული ნივთიერება ორთქლდება და ჩაის ხარისხი ქვეითდება. ასევე ცუდია ცივი ჩაის ხელმეორედ გაცხელება.

როცა განსაკუთრებული შემთხვევის გამო ჩაის სწრაფი დაყენება გსურთ, შეიძლება პატარა ჩაიდანში ჩაყაროთ ცოტა საჭმელი სოდა და მერე დააყენოთ ჩვეულებრივი წესით.

კარგია თუ ჩაის რამდენიმე სახეს აურევთ. არსებობს გემოს, სურნელებისა და ფერის ხარისხები. როცა სამივე ერთმანეთს შეერევა, მაშინ ჩაის ნაყენს შესანიშნავი გემო და სურნელება ექნება.

**რძიანი ჩაი.** ჭიქებში დაასხით მუქი ფერის (მაგარი) ჩაი და არ აავსოთ, ისე მიიტანეთ სუფრაზე. სუფრაზე ცალკე მიიტანეთ ადუღებული რძე და სურვილის მიხედვით დაასხით ჩაის. რძის ხმარება რეკომენდებულია დილის ჩაიზე.

**ჩაი ლიმონით.** ჭიქებში დაასხით მუქი ფერის (მაგარი) ჩაი. სუფრაზე ცალკე მიიტანეთ თხელ ფენებად კანიანად დაჭრილი ლიმონი.

მიზანშეწონილი არ არის კანშემოცლილი ლიმონის სუფრაზე მიტანა ან კანგაცლილი ლიმონით ჩაის დალევა. C ვიტამინი ლიმონის კანში ორჯერ მეტია, ვიდრე ლიმონის რბილ ნაწილში. ლიმონის კანშია აგრეთვე კალციუმი, კალიუმი, ფოსფორი და სხვა სასარგებლო ნივთიერებები. ამავე დროს კანი არომატულია და სასიამოვნო გემოსია. სურნელოვან ჩაის კანიანი ლიმონი კიდევ უფრო სასიამოვნო სასმელს ხდის. ლიმონი რეკომენდებულია საღამოს ჩაიზე.

სუფთა ჩაის შეიძლება დაუმატოთ ცოტა კონიაკი, არაყი ან რომელიმე მურაბა.



**ამბობენ, რომ...**

ფილიპე III მეუღლე არაჩვეულებრივი გრძელი კისრით გამოირჩეოდა, ამ ნაკლის დასაფარავად მან მაღალი საყელო გამოიგონა.

* * *

შლეიფიანი კაბები მოდაში შემოიღეს ლუდოვიკო IX ქალიშვილებმა, რომელთაც დაგრეხილი ფეხები ჰქონდათ.

* * *

კორსეტები და ბამბის სამხრეები პირველად კარლოს III დროს შემოვიდა მოდაში. მოდის ეს სიახლე ეკუთვნოდა სასახლის რამდენიმე წარჩინებულ პირს, რომლებიც თავიანთი დაღრეცილი ტანის გასწორებას ლამობდნენ.

* * *

მეფე ლუდოვიკო XIV, რომელსაც თავზე ხორცმეტი ჰქონდა, ფართოდ გაავრცელა პარიკების ხმარება.

* * *

მოკლესახელოიანი კაბის ტარება შემოიღო ანა ავსტრიელმა, მას თავისი ლამაზი მკლავების გამოჩენა სურდა.

* * *

ჰენრიხ II ქალიშვილებს ჩიყვი ჰქონდათ, ამიტომ თავიანთ ტანსაცმელს ისინი ფუმფულა „ქაბოთი“ რთავდნენ. მათვე მოიგონეს განიერი მინაოჭებული სახელოები, რითაც გამხმარი მხრების სიმახინჯეს ფარავდნენ.

* * *

მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მოდაში შემოიღო მარილიზა დე პომპადურმა — იგი ძალიან დაბალი იყო.



## სერიოზული კურიოზები

### ძირს ქუსლები!

შავქუსლიანი წინდების გამომგონებლები შერცხვენილები არიან. ისინი გამომგონებელმა ნ. კასტენემ გაახუნა: მან უქუსლო წინდები გამოიგონა, ქუსლების მაგივრად კოხტად გაფორმებული სიცარიელეა! გამომგონებელი მსჯელობდა მეტად ლოღიკურად: რაკი წინდას ყველაზე მეტად და სწრაფად ქუსლი ეხევა, მაშინ რაღა საჭიროა იგი. გარდა ამისა, მან „დაადგინა“: სულერთია, ქუსლებზე კანი ნაკლებად გრძნობს სინესტესა და ტემპერატურის ცვალებადობასო.

### სათვალე მამლისათვის

სჭირდება თუ არა მამალს სათვალე?

რა თქმა უნდა სჭირდება, გადასწყვიტეს გამომგონებლებმა და გამოიგონეს დამცველი სათვალე ქათმებისათვის. ახლა მამლებს შეუძლიათ გულმშვიდად ეჩხუბონ მეტოქეებს, თვალები არ დაუზიანდებათ. „ძვირფასი“ აღმოჩენა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ავტორს პატენტი მიეცა.

### საწოლი მაღვიძარა

ამერიკაში პატენტირებულია თითქმის ყველაზე საიმედო მაღვიძარა. იგი მოთავსებულია საწოლის თავზე და თოკით შეერთებულია სასხლეტთან, რომელიც ნაალს იკავებს. თუ ზარმა ვერ გაგაღვიძათ, ნუ დაღონდებით: ნაალი დაბლა დაეშვება და თქვენ იატაკზე გადმოკოტრიალდებით.

გარეკანზე მხატვარ ჰენრიეტა იუსტინსკაიას ციტრაჟი — „შრომა“.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: **ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **ნ. ჯავახიშვილი.**
ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

**საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VI-66 წ. ქაღალდის ზომა 60×92 ტირაჟი 71.000. შეკვ. 1716. უე 03106. **ფასი 80 კაპ.**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

**ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.**

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„გადაულახავი წინაღობა"

ნახატები დ. ბაშელეიშვილისა

# სანაპირო ეტიუდები



„სიყვარულით დამწვარი"



— ხომ არ დავბრუნდეთ უკან. ძვირფასო! — შორს შევცურეთ...



„მისი ქოლგა"



ИНДЕКС 76178